



13 დეკემბერი, 2021წ.

შესაბამისობის საკითხებში მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO)

შესაბამისობის კრიტერიუმების შეფასება: შედეგების შეჯამება

აჭარისწყალი კასკადური ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, საქართველო (IFC-ის პროექტები #30428, 33435, 37781 & 601449; MIGA-ს პროექტი: #12315).

საჩივარი AGL-01/მახალაკიძეები

აღწერილობითი ნაწილი

შუახევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (“შუახევი HPP/პროექტი”) არის 184 მეგავატი (MW) სიძლიერის ჰიდროელექტროსადგურის სქემა, რომელიც შედგება აჭარისწყლისა და წყალთა მდინარის რეზერვუარში ორი კაშხლისგან, ჩირუხისწყლის მდინარის კაშხლისაგან და მთლიანობაში 33.8 კილომეტრის (კმ) სიგრძის მიწისქვეშა გვირაბებისაგან. პროექტი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აჭარისწყლის რეგიონში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში. პროექტს ახორციელებს აჭარისწყალი ჯორჯია შპს (AGL), რომელიც წარმოადგენს ნორვეგიული კომპანია „კლინ ენერჯი ინვესტის“, ინდური კომპანია „ტატა პაუერისა“ და (წარსულში) საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ერთობლივ შვილობილ საწარმოს (SPV).

პროექტის მთლიანი ღირებულება შეფასებული იყო დაახლოებით \$427 მილიონ აშშ დოლარად. 2014 წელს, დამფინანსებელმა IFC-მ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკმა (ADB) (“დამფინანსებლები”) გამოყვეს სესხები პროექტის მშენებლობის მხარდასაჭერად. IFC-ის მიერ დამტკიცებული ინვესტიცია შეადგენდა \$71 მილიონ აშშ დოლარამდე სესხს და \$34 მილიონ აშშ დოლარამდე კაპიტალის დაბანდებას (IFC პროექტები #33435 და #37781). ინვესტიციის მიზანი იყო, რომ

- ა) გაეზარდა საქართველოს განახლებადი ენერჯის გამომუშავება;
- ბ) შეემცირებინა GHG-ს გამონაბოლქვები;
- გ) ზეგავლენა მოეხდინა საქართველოს შესაძლებლობაზე, რომ მოეზიდა უცხოური ინვესტიციები ჰიდრო ელექტროენერჯის სფეროში და
- დ) წილი შეეტანა საქართველოს კერძო სექტორის ინვესტიციებში, სამხრეთ-სამხრეთის ინვესტიციების ჩათვლით.

პროექტის მშენებლობა დაიწყო 2014 წელს და დასრულდა 2020 წელს.

2020 წლის აპრილში, IFC-მ გაყიდა თავისი AGL-ის წილი და გავიდა კაპიტალური ინვესტიციიდან. IFC-ის სესხი ჯერ კიდევ მოქმედია. გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი ინვესტიციების გარანტიების სააგენტომ (MIGA) უზრუნველყო \$63 მილიონი აშშ დოლარის გარანტია Tata Power International Pte. Ltd.-თვის პროექტში მისი კაპიტალის ინვესტიციის დასაზღვევად (MIGA პროექტი #12315). MIGA'ს გარანტიაც აგრეთვე ჯერ კიდევ მოქმედია.

2018 წლის თებერვალში, CAO-მ მიიღო საჩივარი თემის 17 წევრისგან, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს აჭარის შუახევის მუნიციპალიტეტის მახალაკიძეების სოფლის რაბათის რაიონში. საჩივარში გაცხადებულია, რომ შუახევის HPP-ის ათვისების შედეგად, მახალაკიძეების მოსახლეობას და ადგილობრივ გარემოს მიაღება რამდენიმე აქტუალური და მოსალოდნელი უარყოფითი ზიანი. მომჩივნების მიერ აღძრული სარჩელის ძირითადი წუხილი მოიცავდა შემდეგს:

- ქვათაცვენისა და მეწყერის გაზრდილი რისკები, რომელიც სავარაუდოდ გამოწვეულ იქნა გვირაბის გაყვანისას მშენებლობის და აფეთქებების შედეგად და რომელიც თემს საშიშროებას უქმნის.
- გრუნტის წყლის დინების შემცირება მშენებლობის (გვირაბის გაყვანის) გამო, რომელსაც შედეგად მოჰყვა მახალაკიძეების თემში სასმელ წყალთან წვდომის დაკარგვა და მისი საყოფაცხოვრებო და სარწყავად გამოყენება.
- მდინარე აჭარისწყლის აუზში ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზეგავლენა, რომელმაც გამოიწვია რამდენიმე თევზის სახეობის გაქრობა, საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი სახეობის კალმახისა და ხეების ჩათვლით.

იგივე საჩივარი იქნა აგრეთვე შეტანილი EBRD-სა და ADB-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმში ((პროექტზე ჩივილის მექანიზმი (PCM) და შესაბამისად პროექტების ხელშეწყობის სპეციალური სამსახური (OSPF)) და აზიის განვითარების ბანკის პროექტების ხელშეწყობის სპეციალურ სამსახურში. თუმცა ორივე მექანიზმმა დახურა თავისი საქმე, მას შემდეგ რაც კონფლიქტის მოგვარების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. ორმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამაც აგრეთვე შეიტანა დამატებითი საჩივარი შუახევის პროექტზე EBRD-ის PCM-ში. 2018 წლის ივლისის სამოქალაქო საზოგადოების საჩივარი¹ აღძრავს მსგავს საკითხებს გარემოს დაცვით და სოციალურ (E&S) შეფასებასა და მენეჯმენტთან; მეწყერთან; გრუნტის წყლების ხელმისაწვდომობასთან და ბიომრავალფეროვნებაზე გავლენასთან დაკავშირებით.² ამ შეფასების მოხსენების დაწერისას, ამ პროექტში EBRD'-ს ინვესტიციების შესაბამისობის განხილვა ტარდებოდა EBRD-ის PCM-ის მიერ.

2018 წლის ივნისიდან 2020 წლის აგვისტომდე ჩატარებული, CAO-ს თავდებით ორგანიზებული დავის მოგვარების პროცესის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ეს საჩივარი შესაფასებლად გაეგზავნა CAO-ს შესაბამისობის ფუნქციას.

1 EBRD, პროექტზე ჩივილის მექანიზმი შუახევი HPP (თხოვნა #2). ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/32Oclff>

2 EBRD, პროექტზე ჩივილის მექანიზმის დასაშვებობის შეფასების ანგარიში. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3rw6F9g>

მიდგომა

გარდამავალი შეთანხმების შემდეგ, რომელიც წარმოადგენდა 2021 წელს CAO-ს ახალი პოლიტიკის დამტკიცების შემადგენელ ნაწილს, მოცემული შესაბამისობის შეფასება ტარდება CAO-ს 2013 წლის საოპერაციო გზამკვლევების შემდეგ. საოპერაციო გზამკვლევების შესაბამისად CAO-ს შესაბამისობის შეფასების მიზანია უზრუნველყოს, რომ შესაბამისობის კვლევა ინიცირებულ იქნეს მხოლოდ იმ პროექტებთან მიმართებაში, რომლებიც აღძრავენ მნიშვნელოვან პრობლემებს E&S-ს შედეგებთან დაკავშირებით ან/და IFC/MIGA-თვის სისტემატურად მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ გადაწყვიტოს დაიწყოს თუ არა შესაბამისობის კვლევა, CAO-მ უნდა აწონ-დაწონოს სხვადასხვა ფაქტორები, იმის ჩათვლით, თუ რაოდენ დიდია სარჩელში აღძრული E&S-ის პრობლემა; IFC-ის E&S-ის შესრულების წინასწარი განხილვის შედეგები ამ საკითხებთან დაკავშირებით; IFC-ის მოთხოვნების ადეკვატურობასთან დაკავშირებული შეკითხვების არსებობა და უფრო ზოგადი შეფასება იმისა, წარმოადგენს თუ არა შესაბამისობის გამოძიება სათანადო პასუხს მოცემული სიტუაციისათვის.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება შესაბამისობის კვლევის მართებულობის შესახებ, ამ შეფასებაში გათვალისწინებულია IFC-ის მიდგომა E&S-ის პროექტების განხილვასა და ზედამხედველობაზე, რაც შეესაბამება სარჩელში აღძრულ კონკრეტულ საკითხებს. პროექტის კომპლექსურ შემოწმებასა და ზედამხედველობაზე დახმარების გასაწევად, კრედიტორებმა კონსულტანტად აიყვანეს მესამე მხარე, საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური კონსულტანტი (IESC). წინა-საინვესტიციო ეტაპზე IFC-ი და სხვა კონსულტანტები ეწვივნენ სამშენებლო უბანს და მათ პროექტების E&S დოკუმენტების განხილვაში დახმარებას უწევდა IESC. კრედიტორები შეუთანხმდნენ მომხმარებელს E&S სამოქმედო გეგმის (ESAP) თაობაზე, რათა განეხილათ პროექტის შეფასებისას აღმოჩენილი ხარვეზები. ზედამხედველობის განხორციელებისას, IESC-მ ჩაატარა ვიზიტი ადგილზე და კრედიტორების სახელით განახორციელა პროექტის მონიტორინგი.

ანალიზი

CAO-მ ჩაატარა მომჩივანთა მიერ აღძრული პრობლემების წინასწარი ანალიზი მეწყერებთან და ქვათა ცვენებთან, გრუნტის წყლების დინებასთან და ბიომრავალფეროვნებაზე გავლენასთან დაკავშირებით, რომლის მოკლე შინაარსიც მოცემულია ქვემოთ:

მეწყერი და ქვათაცვენა: მოსარჩლეებმა წუხილი გამოთქვეს, რომ პროექტის მშენებლობის განხორციელებისას ჩატარებული აფეთქებები გაზრდიდა მეწყერისა და ქვათაცვენის რისკს მახალაკიძეების სოფელში, რაც მათ უსაფრთხოებას საშიშროებას შეუქმნიდა. პროექტის გარემოსდაცვისა და სოციალური გავლენის შეფასებაში (ESIA) აღნიშნულია, რომ აჭარის რეგიონს აქვს მიდრეკილება მეწყერისა და ეროზიის მიმართ. საპასუხოდ, AGL-მ ჩაატარა გეოლოგიური და ტოპოგრაფიული კვლევები, რათა უზრუნველყოს, რომ პროექტის დიზაინი შეამცირებდა მეწყერის წარმოქმნის რისკს. AGL-მ მეწყერის წარმოშობის რისკის შესამცირებლად შეიმუშავა რიგი ზომები, დაბალი ენერჯის ასაფეთქებლებისა და კლდის ექსკავაციის გამოყენების ჩათვლით. ვიზუალური დაკვირვებისა და თემების თხოვნის

საპასუხოდ, გვირახის მშენებლობამდე და მისი მშენებლობის შემდეგ, AGL-მ გვირახის გასწვრივ მდებარე სახლების შემოწმების გარდა, დაამონტაჟა მიწისზედა მონიტორინგის სადგურები, მეწყერის მონიტორინგის სისტემები და ჩაატარა პერიოდული შემოწმებები ადგილზე, პროექტის დოკუმენტაციის წინასწარი განხილვისა და მომჩივან პირებთან გასაუბრების შედეგად აღმოჩნდა, რომ პროექტის მშენებლობის პერიოდში, მახალაკიძეების სოფელში დაფიქსირებული არ ყოფილა არავითარი მეწყერი.

ზემოთ ჩამოყალიბებული რისკის მართვის ზომების, მომჩივანთაგან მიღებული ინფორმაციისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მშენებლობის ფაზა დამთავრებულია, CAO ასკვნის, რომ ეს საკითხი არ საჭიროებს შესაბამისობის კვლევას. თუმცა, CAO მოუწოდებს IFC-ს, რომ ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს რეგულარული გეოლოგიური განხილვების სწორი ჩატარება მისი ამუშავებიდან 10 წლის განმავლობაში, როგორც ამას ESIA ურჩევს, რათა უზრუნველყოს, რომ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმდინარე მეწყერის რისკი სათანადოდ იქნეს შემოწმებული და შემსუბუქებული.

გრუნტის წყლების დინება: მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტის მშენებლობამ გამოიწვია წყაროს წყლების ნაკლებობა მათ სოფელში, რამაც საზიანოდ იმოქმედა წყლის სასმელად და სარწყავად გამოყენებაზე. მომჩივნები საგრძნობლად დამოკიდებულნი არიან წყაროს წყლის გამოყენებაზე საყოფაცხოვრებო და სოფლის მეურნეობის მიზნით მისი მოხმარებისთვის. ამ შესაბამისობის შეფასების დაწერისას, წყლის რესურსზე მომხდარი ზეგავლენა წამოადგენდა მომჩივანთა მთავარ პრობლემას. ESIA-მ აღნიშნა, რომ მშენებლობის პერიოდში მოხდებოდა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იმ მიდამოებში, სადაც გვირახი ყველაზე ახლოსაა მიწის ზედაპირთან, რომელიც მოიცავს ზეგავლენას სასმელი, სარწყავი, და საყოფაცხოვრებო წყლის რესურსებზე და რომ შესაძლებელი იყო განვითარებულიყო წყლის ჭების დროებითი ან მუდმივი დრენაჟი. ESIA-ს რეკომენდაციით, საჭირო იყო შემამსუბუქებელი ზომების მიღება ამ პოტენციურ ზეგავლენასთან მიმართებაში. AGL-მ მშენებლობის პერიოდში განახორციელა წყაროს წყლის მონიტორინგი, რაც განაპირობებდა მის მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის აღებას. ამ საკითხთან დაკავშირებით, თემის მუდმივი საჩივრებიდან გამომდინარე, IESC-მ რეკომენდაცია მისცა მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელს დაექირავებინა დამოუკიდებელი კონსულტანტი, რომელიც შეაფასებდა ახდენდა თუ არა პროექტი ზეგავლენას წყლის რესურსებზე. თუმცა IESC-ის დოკუმენტებში ნახსენები არაა რეკომენდებული კვლევის შედეგები, IESC-მ მოგვიანებით აღნიშნა, რომ მისი მომხმარებელი თავის მხრივ ახორციელებდა წყაროს წყლის მონიტორინგს, რაც მოხსენიებული იყო, როგორც ელემენტარული. IFC-ის ზედამხედველობის დოკუმენტების განხილვა ბადებს კითხვებს საბაზისო მონაცემების ადეკვატურობაზე, რომელიც საჭიროა გრუნტის წყლების ხელმისაწვდომობაზე პროექტის ზეგავლენის შესაფასებლად.

არსებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, CAO კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს წყაროს წყლებსა და მათთან დაკავშირებულ შეთავაზებულ შემამსუბუქებელ ზომებზე პროექტის შესაძლო ზეგავლენას და ამ ზეგავლენის IFC-ის მიერ განხილვასა და ზედამხედველობას. აქედან გამომდინარე, CAO ასკვნის, რომ მომჩივანთა მიერ აღძრული წყლის ნაკლებობა საჭიროებს შესაბამისობის კვლევას.

ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე: მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტის მშენებლობამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა მტკნარი წყლის თევზებზე, წითელ წიგნში შეტანილი კალმახის ჩათვლით. მათ აგრეთვე CAO-ს შესაბამისობის გუნდს წარუდგინეს ინფორმაცია

პროექტიდან გამომდინარე ხეების განადგურების შესახებ. პროექტი გადის მდინარეზე, რომელიც IFC-ის მიერ შეფასებულია, როგორც „უმნიშვნელოვანესი ჰაბიტატი.“ როდესაც პროექტი უმნიშვნელოვანეს ჰაბიტატში იწყება, IFC-ის შესრულების სტანდარტი (PS) 6 (ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვაზე) უმკაცრეს მოთხოვნებს ადგენს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული პროექტის ზეგავლენა სათუთ ეკოსისტემაზე, მოხდეს მისი შემსუბუქება და კომპენსაცია. ESIA აღნიშნავს, რომ პროექტს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბიომრავალფეროვნებასა და ეკოსისტემის მომსახურებებზე ამ მიდამოებში. თუმცა, შესაძლებელია ამგვარი ზეგავლენების მნიშვნელოვანი შემცირება შეთავაზებული შემსუბუქების ზომების შემუშავების გზით. 2015 წლიდან, IESC-მა წუხილი გამოთქვა მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ადეკვატურობის შესახებ, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელების მიდამოებში ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზეგავლენის გამოსაკვლევადა. ამ კონტექსტში, IESC-მ რეკომენდაცია მისცა მის მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელს დაექირავებინა საერთაშორისო კონსულტანტი, რომელიც განიხილავდა ბიომრავალფეროვნების მონაცემებს და მოახდენდა მის ანალიზს მშენებლობის დაწყებიდან 2018 წლამდე. კონსულტანტმა აღმოაჩინა მრავალი სახეობების შემცირება ჩირუხის წყლის მდინარეში და მშენებლობის პერიოდში თევზის სიუხვის შემცირება. თუმცა IESC-მ მიიჩნია, რომ ნაადრევი იყო ამგვარ ნაკლებობას/სიუხვისა და პროექტს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება, IESC-მ აღნიშნა, რომ საჭირო იყო დამატებითი მონიტორინგი. 2019 წელს, ამ საკითხის განსახილველად მომხმარებელმა წარადგინა გამასწორებელი სამოქმედო გეგმა (CAP). IFC-ის მიერ ბოლოს ჩატარებული ზედამხედველობის ვირტუალური ვიზიტის თარიღით, (2020 წლის სექტემბერი), IESC-მა განაცხადა, რომ ჯერ კიდევ საჭირო იყო CAP' თან შესაბამისობის განხილვა. ამ კონტექსტში, CAO-ს უჩნდება კითხვები იმის შესახებ, მოიპოვა თუ არა IFC-მა საჭირო ინფორმაცია პროექტის შესრულების სტანდარტებთან შესაბამისობის სტატუსის შესაფასებლად და იმის შესახებ, ადეკვატური იყო თუ არა IFC' ის ზედამხედველობა პროექტის გავლენის მიდამოებში მდინარის მოზინადრეთა მრავალფეროვნებაზე პროექტის შესაძლო ზეგავლენის შესაფასებლად და ზომების მისაღებად.

შეფასების შედეგი

არსებული ინფორმაციის წინასწარი განხილვის საფუძველზე, CAO ასკვნის, რომ ეს საქმე საჭიროებს შესაბამისობის კვლევას. CAO-ს დასკვნით, ამ საქმესთან დაკავშირებით მომჩივნების მიერ აღძრული საკითხები გრუნტის წყლების დინებასა და ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზეგავლენის თაობაზე, თავიანთი ხასიათით პოტენციურად მნიშვნელოვანია, თუ მხედველობაში მივიღებთ: (a) მომჩივნების დამოკიდებულებას გრუნტის წყლებზე საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო მოხმარებისათვის და (b) პროექტის მდებარეობას უმნიშვნელოვანეს ჰაბიტატში, CAO-ს მიერ საჩივრის წინასწარი ანალიზი აგრეთვე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს IFC-ის მიერ E&S-ის პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის ადეკვატურობას, გრუნტის წყლებსა და ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზეგავლენის მნიშვნელობის თვალსაზრისით.

შესაბამისობის კვლევის მითითებები თან დართულია დანართი 1-ის სახით.

CAO-ს შესახებ

შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (CAO) წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და მრავალმხრივი საინვესტიციო სადაზღვევო სააგენტოს (MIGA) დამოუკიდებელი რაკურსის და ანგარიშვალდებულების მექანიზმს, რომლებიც არიან მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრები. CAO განიხილავს იმ ხალხის საჩივრებს, რომლებმაც შესაძლოა განიცადეს ზიანი IFC/MIGA-ის მიერ მხარდაჭერილი გარემოს დაცვისა და სოციალური პროექტებით. CAO პირდაპირ ანგარიშვალდებულია IFC-ისა და MIGA-ს საბჭოს (საბჭო) წინაშე და სრულიად დამოუკიდებელია IFC/MIGA-ის მმართველობისგან.

CAO დაარსდა 1999 წ. 2021 წლის ივლისის თარიღით CAO ეწევა თავის საქმიანობას [IFC/MIGA-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის](#) (CAO-ს პოლიტიკა) შესაბამისად.

დავის მოგვარების, შესაბამისობის და მრჩეველის ფუნქციების განხორციელებით, CAO-ის მანდატი მოიცავს შემდეგს:

- ობიექტური, სამართლიანი და კონსტრუქციული დახმარების გაწევა იმ ხალხის საჩივრების გადაწყვეტაში, რომლებსაც მიაღდა სავარაუდო ზიანი IFC/MIGA-ის პროექტებით ან ქვე-პროექტებით;
- იმ პროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების გაძლიერება, რომლებშიც ზემოხსენებული სტრუქტურები იღებენ მონაწილეობას; და
- საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების და განათლების ხელშეწყობა IFC-ისა და MIGA-ს მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური შესრულების გაძლიერების მიზნით და ადამიანებზე და გარემოზე ზიანის მიყენების რისკის შემცირება.

CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია

CAO-ს შესაბამისობის ფუნქციის მიზანია E&S-ის პოლისთან მიმართებაში IFC/MIGA-ის შესაბამისობის განხილვა, გამოწვეული ზიანის შეფასება და საჭიროებისამებრ შემამსუბუქებელი ქმედებების რეკომენდაცია.³ CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია ექვემდებარება სამ-საფეხურიან მიდგომას:

(1) შესაბამისობის შეფასება, რომელიც გადაწყვეტს საჭიროა თუ არა მორიგი გამოძიება. თუ გადაწყდა, რომ საჭიროა, შეფასებას მოსდევს გამოძიება.

(2) შესაბამისობის გამოძიება გადაწყვეტს შესაბამისობაშია თუ არა IFC/MIGA-ი თავის E&S პოლისთან და მოხდა თუ არა რაიმე ზიანი IFC/MIGA-ის მიერ რაიმე სახის შეუსაბამობის შედეგად.

³ IFC/MIGA-ის დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმი (CAO) პოლისი, პარაგრაფი. 76.

(3) შესაბამისობის მონიტორინგი, მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელების მონიტორინგის მიზნით, რომელიც დამტკიცებულია საბჭოს მიერ როგორც მართვის ქმედების გეგმის შემადგენელი ნაწილი.⁴

გარდამავალი მექანიზმის შეთანხმების შემდეგ, როგორც 2021 წლის CAO-ს პოლისის განხორციელების შემადგენელი ნაწილი, მოცემული შესაბამისობის შეფასების მოხსენება მომზადდა CAO-ს 2013 წლის [სამოქმედო სახელმძღვანელოს](#)⁵ შემდეგ.

CAO-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ ვებგვერდს: www.cao-ombudsman.org.

⁴ Ibid, para. 79.

⁵ CAO-ს გარდამავალი მექანიზმები დაიბეჭდა 2021 წლის ივლისში და ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3rusRRq>

სარჩევი

აკრონიმები	Error! Bookmark not defined.
I. შესაბამისობის შეფასების პროცესის მიმოხილვა	11
II. აღწერილობითი ნაწილი	12
ინვესტიცია	12
<i>მომჩივანთა თვალთახედვა</i>	<i>13</i>
III. IFC-ის ინვესტიციის წინასწარი განხილვა და პროექტის ზედამხედველობა	16
IFC-ის პოლისის ჩარჩო და ზოგადი მოთხოვნები	16
ინვესტიციამდე განხორციელებული გარემოსდაცვითი და სოციალური განხილვა	17
ზედამხედველობა გარემოს დაცვასა და სოციალურ საკითხებზე.....	18
<i>მოთხოვნები</i>	<i>Error! Bookmark not defined.</i>
IV. CAO-ს გადაწყვეტილება	32
დანართი: მითითებები	35

აკრონიმები

აკრონიმი	მნიშვნელობა
ADB	აზიის განვითარების ბანკი
AGL	აჭარისწყალი ჯორჯია შპს
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
CAO	შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის ოფისი (IFC და MIGA)
CEMP	სამშენებლო გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
E&S	გარემოსდაცვითი და სოციალური
EHS	გარემოს დაცვა, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
EMS	გარემოს დაცვის მართვის სისტემა
ESIA	გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოს დაცვის და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESDD	გარემოს დაცვის და სოციალური კომპლექსური შემოწმება
ESMP	გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა
ESMS	გარემოს დაცვის და სოციალური მართვის სისტემა
ESRS	გარემოს დაცვის და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი
ESRP	გარემოს დაცვის და სოციალური განხილვის პროცედურები
HPP	ჰიდრო ელექტრო სადგური
H&S	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
IESC	გარემოს დაცვის და სოციალური დამოუკიდებელი კონსულტანტი
IFC	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFI	საერთაშორისო საფინანსო დაწესებულება
MIGA	მრავალმხრივი ინვესტირების სადაზღვევო სააგენტო
MOU	ურთიერთგაგების მემორანდუმი
NGO	არა-სამთავრობო ორგანიზაცია
O&M	მართვა და მომსახურება
PCM	პროექტის საჩივრის მექანიზმი (EBRD)
PS	შესრულების სტანდარტები (IFC)
SEP	დაინტერესებული მხარის ჩართულობის გეგმა

აკრონიმი	მნიშვნელობა
SPV	შვილობილი კომპანია
OSPF	სპეციალური პროექტის დამხმარე ოფისი (ADB)

I. შესაბამისობის შეფასების პროცესის განხილვა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარდამავალი მექანიზმის შეთანხმების შემდეგ, როგორც 2021 წლის CAO-ს პოლისის განხორციელების შემადგენელი ნაწილი, მოცემული შესაბამისობის შეფასების მოხსენება მომზადდა CAO-ს 2013 წლის სამოქმედო სახელმძღვანელოს შემდეგ.

მას შემდეგ, რაც CAO მიიღებს საჩივარს IFC-ის ან MIGA-ს პროექტზე, საჩივარი გადის შეფასების პროცესს. თუ CAO-მ დაასკვნა, რომ მხარეებს არ სურთ ან არ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება ამგვარი დახმარების გაწევის შემდეგ, საქმე შესაფასებლად და სავარაუდოდ გამოძიების მიზნით გადაეცემა CAO-ს შესაბამისობის ფუნქციას.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება გამართლებულია თუ არა გამოძიება შესაბამისობის დადგენის მიზნით, CAO ჯერ ახდენს შესაბამისობის შეფასებას. შესაბამისობის შეფასების მიზანია უზრუნველყოფილ იქნეს, რომ შესაბამისობის გამოძიება დაიწყოს მხოლოდ იმ პროექტებზე, რომლებმაც აღძრეს მნიშვნელოვანი პრობლემები გარემოს დაცვისა ან/და სოციალური შედეგების თვალსაზრისით, ან/და IFC/MIGA-თვის მნიშვნელოვანი სისტემური მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით.

CAO იყენებს რამდენიმე ძირითად კრიტერიუმს შესაბამისობის შეფასების პროცესის სახელმძღვანელოდ. ეს კრიტერიუმები ამოწმებენ შესაბამისობის გამოძიებაზე ვალდებულების აღების სარგებლიანობას, რამდენადაც CAO-მ უნდა განსაზღვროს:

- არსებობს თუ არა ამჟამად გარემოს დაცვის ან/და სოციალური სავარაუდოდ მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგების მტკიცებულება, ან იარსებებს თუ არა იგი მომავალში.
- არსებობს თუ არა ისეთი რამ, რაც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ პოლისი ან შეფასების სხვა კრიტერიუმი არ იქნა დაცული, ან სათანადოდ გამოყენებული IFC/MIGA-ის მიერ.
- არსებობს თუ არა ისეთი მტკიცებულება, რაც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ IFC-ის/MIGA-ს დებულებებმა ვერ უზრუნველყვეს შესაფერისი დონის დაცვა, მიუხედავად იმისა შესაბამისობაში იყვნენ ისინი თუ არა.

შეფასების ჩატარებისას, CAO ჩართავს კონკრეტულ პროექტზე დასაქმებულ IFC/MIGA-ის გუნდს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს იმისათვის, რომ გაარკვიოს, თუ რა კრიტერიუმები იქნა გამოყენებული IFC/MIGA-ის მიერ, მისი/თავიანთი პროექტის შესასრულებლად, თუ როგორ დაარწმუნა IFC/MIGA-მა საკუთარი თავი მათ მიერ ამ კრიტერიუმების გამოყენების შესაბამისობაში, თუ როგორ დაარწმუნა IFC/MIGA-მა საკუთარი თავი, რომ ეს დებულებები უზრუნველყოფდნენ სათანადო დაცვის დონეს და ზოგადად, წარმოადგენს თუ არა შესაბამისობის გამოძიება სათანადო პასუხს. მას შემდეგ, რაც დასრულდება შესაბამისობის შეფასება, CAO-ს შეუძლია დახუროს საქმე ან წამოიწყოს შესაბამისობის გამოძიება.

II. აღწერილობითი ნაწილი

ინვესტიცია

აჭარისწყალი ჯორჯია შპს (AGL ან კომპანია) არის შვილობილი კომპანია (SPV), რომლის მესაკუთრეა Clean Energy Invest of Norway და Tata Power of India.⁶ AGL-ი ახორციელებს შუახევის პროექტს, 184 მეგავატის (MW) სიძლიერის ჰიდროელექტროსადგურის სქემას, რომელიც შედგება ორი კაშხლისაგან (შესაბამისად, 39 მეტრის (m) და 22m სიმაღლის), რომლის რეზერვუარები განლაგებულია მდინარე აჭარისწყალში და მდინარე სხალთაში, ანუ 5 მეტრის კაშხალი მდინარე ჩირუხისწყალში და მოიცავს მთლიანობაში 33.8 კილომეტრის მიწისქვეშა გვირაბებს.⁷ შუახევის პროექტი აგრეთვე ისახავდა 5.9 კილომეტრის სიგრძის ახალი გზების, ოთხი ხიდის და სამშენებლო ბანაკების მშენებლობას. სქემა მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აჭარისწყლის რეგიონში, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში.

პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენდა დაახლოებით \$427 მილიონ აშშ დოლარს. 2011 წლიდან დაწყებული, IFC დახმარებას უწევდა პროექტს მისი InfraVentures-ის პროექტის განვითარების ფონდის მეშვეობით (IFC პროექტი #30428)⁸ IFC-ის InfraVentures-ის ჩართულობის მიზანი იყო დახმარებოდა მოსამზადებელ საქმიანობაში, რათა დახმარება გაეწია პროექტისათვის, რომ ამ უკანასკნელს მიეღო სამშენებლო ფინანსები. დაწყებული 2014 წლიდან, IFC-მ, EBRD-მა და ADB-მ (კრედიტორები) გასცეს სესხები პროექტის მშენებლობის მხარდასაჭერად.⁹ IFC-ის დამტკიცებული ინვესტიცია შედგებოდა \$71 მილიონ აშშ დოლარამდე სესხისაგან და \$34 მილიონ აშშ დოლარამდე კაპიტალისაგან (IFC-ის პროექტის #33435 და #37781).¹⁰ IFC გამოდიოდა დაფინანსების მთავარ მექანიზმად.¹¹ IFC-ის აგრეთვე ჰქონდა მრჩევლის მომსახურების პროექტი, რომ რჩევა მიეცა AGL-ის შემცირების სტრატეგიაზე სამშენებლო მუშახელის დემობილიზაციის შემთხვევაში და მსგავსი განხორციელების გეგმები, მუშახელისა და მოსახლეობისათვის მდგრადი საარსებო საშუალების მოპოვების ჩათვლით, (IFC-ის პროექტი #601449).¹² გარდა ამისა, MIGA

⁶ IFC-ის ინვესტიციის ინფორმაციის მოკლე შინაარსი (SII), აჭარისწყალი ჯორჯია შპს პროექტი #33435

<https://bit.ly/3dcn9eL>

⁷ *Ibid.*

⁸ IFC InfraVenture-ი არის “გლობალური მასშტაბის ინფრასტრუქტურის პროექტის განვითარების ფონდი, რომელიც შეიქმნა მსოფლიო ბანკის ჯგუფის ძალისხმევით განვითარებად ქვეყნებში რენტაბელური პროექტების პორტფოლიოს გასაზრდელად. მისი უნიკალური შეთავაზებები, რომელიც აერთიანებს ადრეული სტადიის რისკის კაპიტალს და გამოცდილი პროექტის განვითარების მხარდაჭერას, შექმნილია მოსაზღვრე ბაზრებზე ინფრასტრუქტურის პროექტებში კერძო ინვესტიციებისთვის საკვანძო შეზღუდვების აღმოსაფხვრელად”

<https://bit.ly/3pogbc1>

⁹ მთავარი სესხები IFC-გან, EBRD-გან და ADB-გან (“კრედიტორები”) შეადგენს შესაბამისად \$80 მილიონ აშშ დოლარს, \$90 მილიონ აშშ დოლარს და \$90 მილიონ აშშ დოლარს, მეორე B სესხი/პარალელური სესხები შეადგენენ \$40 მილიონ აშშ დოლარს და სპონსორის კაპიტალი შეადგენს \$127 მილიონ დოლარს.

¹⁰ IFC-მ ერთობლივად დაამუშავა ვალის და კაპიტალის ინვესტიცია #33435 პროექტის ქვეშ, პროექტის ინფორმაციის გაზიარების ჩათვლით.

¹¹ ინვესტიცია აგრეთვე შეიცავს B/პარალელურ სესხს \$220 მილიონ აშშ დოლარამდე, IFC (SII), <https://bit.ly/3xRLHmS>

¹² IFC, მრჩევლის მომსახურების ინფორმაციისა და პროექტის ინფორმაციის მოკლე შინაარსი, <https://bit.ly/3oq0kuB>. CAO-მ არ გაითვალისწინა სამომავლოდ ეს მრჩევლის მომსახურების პროექტი, რადგან იგი არ შეესაბამება საჩივარში აღძრულ საკითხებს.

უზრუნველყოფს \$63 მილიონიან გარანტიას Tata Power International Pte. Ltd.-თვის, რომ დაფაროს მისი კაპიტალი პროექტში (MIGA-ს პროექტი #12315).¹³

2016 წლის დეკემბერში, IFC-მ დაასრულა თავისი, როგორც მრჩეველის მომსახურების გაწევა AGL-თან. 2020 წლის აპრილში, IFC-მ გაყიდა AGL-ის თავისი კუთვნილი წილი და ამით გამოვიდა კაპიტალ დაბანდებიდან. ამიტომ, IFC-ის კაპიტალის და მრჩეველის პროექტები (#37781 და #601449) დაიხურა, თუმცა IFC-ის A სესხი და MIGA-ს დაზღვევა ამ მოხსენების დაწერისას ჯერ კიდევ მოქმედებს (#33435 და #12315).

პროექტის მშენებლობა დაიწყო 2014 წლის ივნისში და პროექტი შეუდგა მუშაობას 2020 წლის მარტში.

საჩივარი

მომჩივანთა თვალთახედვა

2018 წლის თებერვალში, CAO-მ მიიღო საჩივარი საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ მახალაკიძეების, რაბათის რეგიონის მოსახლეებისაგან.¹⁴ მომჩივნები მთლიანობაში შეადგენენ 22 ოჯახის წევრებს, რომლებიც ცხოვრობენ ერთ-ერთი პროექტის გვირაბიდან 500 მეტრში. საჩივარში ისინი ამტკიცებენ, რომ პროექტის მშენებლობის და მისი ამოქმედების შედეგად სოფელ მახალაკიძეების მოსახლეობამ და ადგილობრივმა ბუნებამ განიცადა რამდენიმე უარყოფითი ზიანი ამჟამად და მომავალში მოსალოდნელია დამატებითი ზიანის მიღება. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ მათ აღძრეს თავიანთი საჩივარი კომპანიაში და მოითხოვეს გეოლოგიური კვლევის ჩატარება, მაგრამ არ მიუღიათ არანაირი პასუხი მათგან.¹⁵ მომჩივნებმა და კომპანიამ გაიარეს დავის გადაწყვეტის პროცესი CAO-ის შუამდგომლობით. იმის გამო, რომ არ იქნა მიღწეული შეთანხმება, საჩივარი გადაეცა შესაბამისობის ფუნქციას, CAO-ს ოპერატიული სახელმძღვანელოს¹⁶ თანახმად. საჩივარი აღძრავს შემდეგი სახის პრობლემებს:

- i. **მეწყერები და ქვათა ცვენები:** ადგილი, სადაც განლაგებულია პროექტი, მიდრეკილია მეწყერისა და ქვათა ცვენისკენ. საჩივარი აღძრავს წუხილს იმის შესახებ, რომ გვირაბის გაყვანის სამუშაოებმა გაზარდა მეწყერისა და ქვათა ცვენის სიხშირე, რამაც საშიშროება შეუქმნა მათ უსაფრთხოებას. მომჩივნები აცხადებენ, რომ პროექტის ფარგლებში მშენებლობა დაიწყო დეტალური გეოლოგიური კვლევის ჩატარების გარეშე, რომელსაც შეეძლო შეეფასებინა პოტენციური რისკები. ისინი ამტკიცებენ, რომ პროექტის მიერ გამოწვეული ზემოქმედება იმდენად სერიოზულია, რომ ხალხის სიცოცხლე და სოფელ მახალაკიძეების გადარჩენა რისკის ქვეშ დგას. CAO-ის შეფასების ანგარიშში მომჩივნები აღძრავენ წუხილს AGL-ის აფეთქებების და ბურღვითი სამუშაოების შედეგად გამოწვეულ

¹³ მრავალფეროვანი ინვესტიციის დაზღვევის სააგენტო, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, პროექტის აღწერა, <https://bit.ly/3lhR3wg>

¹⁴ CAO-ს შეფასების მოხსენება, AGL-01/მახალაკიძეები, ივლისი 2018, <https://bit.ly/3rqpCdQ>

¹⁵ CAO-ს შეფასების მოხსენება, AGL-01/მახალაკიძეები, ივლისი 2018, <https://bit.ly/3oheePv>

¹⁶ CAO-ს საოპერაციო სახელმძღვანელოები, ნაწილი 2.4, ნაბიჯი 4 (a), 2013. <https://bit.ly/3lr6C59>

ვიზრაციასთან დაკავშირებით, რომლებმაც დააზიანა საკუთარი სახლები და თავშესაფრები სოფელში. თუმცა, როგორც მათ აუხსნეს CAO-ს თანამშრომლებს შესაბამისობის შეფასებისას, მათ შენიშნეს ერთი მცირეოდენი დაზიანება და რომ სოფელ მახალაკიძეებში არ მომხდარა მეწყერის მიერ გამოწვეული ზიანი პროექტის მშენებლობის პერიოდში.

- ii. **გრუნტის წყლების ნაკადი:** მომჩივნები ამტკიცებენ, რომ პროექტმა ზემოქმედება იქონია წყაროს წყლის სათავეებზე, რამაც გამოიწვია მახალაკიძეების თემში სასმელი და სარწყავი წყლის ნაკლებობა, ისინი აცხადებენ, რომ პროექტის მიზეზით ამ მიდამოებში გაქრა 7 სხვადასხვა წყაროს წყალი და დაახლოებით 100-მდე ადამიანს და 22 ოჯახს რაბათის რაიონში არა აქვს საკმარისი წყალი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მომჩივნები ამტკიცებენ, რომ სარწყავ წყალზე წვდომის დაკარგვამ გამოიწვია მოცულობის შემცირება და დააზარალა მიღებული წყლის ხარისხი, რამაც სოფლებების საარსებო წყაროს სერიოზული საფრთხე შეუქმნა. ისინი დამატებით გამოთქვამენ ბრალდებას, რომ აჭარის მთავრობა და AGL-ი თემს დაბალი ხარისხის წყლით ამარაგებენ. ისინი აცხადებენ, რომ 2014 წელს აჭარის მთავრობამ, AGL-მა და სოფელ მახალაკიძეებმა გააფორმეს ხელშეკრულება პროექტთან დაკავშირებით თავიანთი ვალდებულებების დასარეგულირებლად. კომპანიამ თავის თავზე აიღო, რომ გამოეკვლია სოფელში წყალ-მომარაგების საკითხი და გამოესწორებინა პროექტთან დაკავშირებული წყლის მომარაგების უარყოფითი ზემოქმედება, რაშიც შედიოდა ოჯახების განსახლება, თუ მათი წყალ-მომარაგება ვერ მოხდებოდა.¹⁷ მოსარჩლეებმა CAO-ს მიუთითეს, რომ AGL-მა მათ შესთავაზა კომპენსაცია სასმელი წყლის დაკარგვის გამო, მაგრამ მათ უარი განაცხადეს, რადგან ჩათვალეს, რომ შეთავაზებული თანხა არაპროპორციულად მცირე იყო მათ მიერ მიღებულ ზარალთან შედარებით.
- iii. **ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე:** მოსარჩლეები აცხადებენ, რომ პროექტის მშენებლობამ გამოიწვია უარყოფითი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე. მათ გააკეთეს შენიშვნა მდინარე აჭარის წყალში თევზის გაქრობასთან დაკავშირებით, წითელ წიგნში შეტანილი თევზის სახეობის-კალმახის ჩათვლით. ისინი აგრეთვე ამტკიცებენ, რომ პროექტის მშენებლობისას ნაკადების შედეგად განადგურდა ხეები.

კომპანიის თვალთახედვა

AGL-ი აცხადებს, რომ სახლებთან დაკავშირებული ნებისმიერი ზარალი პროექტს არ გამოუწვევია. მათ განაცხადეს, რომ მთავრობის თანამდებობის პირების ერთობლივმა კომიტეტმა, თემის წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა გეოლოგიურმა ექსპერტებმა

¹⁷ ხელშეკრულება აჭარის ხელისუფლებას, A.R., აჭარისწყალი ჯორჯია შპს და სოფელ მახალაკიძეების მაცხოვრებლებს შორის, მაისი 1, 2014წ, მუხლი 2.

შეამოწმეს გვირაბის გასწვრივ არსებული სახლები გვირაბების მშენებლობის დაწყებამდე და მათი დამთავრების შემდეგ 2014 და 2016 წლებში. კომპანიის თვალსაზრისით, შემოწმების შედეგად გაკეთებული იქნა დასკვნა, რომ სახლებზე არსებული დაზიანებები გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით და ისინი პირდაპირ კავშირში არ არიან AGL-ის მშენებლობასთან. თუმცა, თავისი კორპორაციულ-საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში, კომპანიამ ადგილობრივ მთავრობასთან პარტნიორობაში იკისრა წვლილი შეეტანა მერიის მიერ წამოწყებულ განსახლების პროგრამაში. AGL-მა მიუთითა, რომ მან ადგილობრივ მთავრობას გამოუყო 5000 ლარი (დაახლოებით \$1500 აშშ დოლარი) იმ ოჯახების განსახლების პროგრამის მხარდასაჭერად, რომლებმაც ზიანი მიიღეს მეწყერისაგან პროექტის განხორციელების მიდამოებში.

რაც შეეხება წყლის ნაკლებობას, AGL-მა მიუთითა, რომ 2014 წლიდან დღემდე, იგი რეგულარულ მონიტორინგს უწევდა წყაროს წლის ნაკადს სოფელ მახალაკიძეებში და მონიტორინგის ანგარიშებს ყოველთვიურად უგზავნიდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს. AGL-ის თანახმად, იმ ექსპერტებმა, რომლებიც ახორციელებდნენ წყლის მონიტორინგს ვერ ნახეს ვერანაირი პირდაპირი კავშირი, AGL-ის საქმიანობასა და გრუნტის წყლის შემცირებას შორის სოფელში. თუმცა, AGL-მა ახსნა, რომ იგი ეთანხმება, რომ წყლის ნაკლებობის პრობლემა ზემოქმედებას ახდენს სოფელზე და ამის საპასუხოდ მან მერიასთან პარტნიორობით წამოიწყო და განახორციელა წყალ-მომარაგების რეაბილიტაციის ორი პროექტი.

რაც შეეხება მოსარჩლეთა საჩივარს იმის შესახებ, რომ პროექტმა უარყოფითი ზემოქმედება იქონია მდინარე აჭარის წყლის ბიომრავალფეროვნებაზე, AGL-მა აღნიშნა, რომ საჩივარი შეუსაბამოა, რადგან თემი ცხოვრობს მდინარე ჩირუხისწყლის ახლოს. გარდა ამისა, AGL-მა აღნიშნა, რომ იგი რეგულარულ მონიტორინგს უწევს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას სამივე მდინარეში აჭარისწყლის ჩათვლით და მონაცემები არ მიუთითებენ რაიმე ცვლილებას და არ ქმნიან წუხილის საფუძველს. CAO-ის მიერ გაკეთებული შეფასებისას, კომპანიამ აღნიშნა, რომ პროექტს ჯერ კიდევ არ მიუღწევია კომერციულ ოპერაციამდე და აქედან გამომდინარე, მდინარის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედების საკითხი, წყლის გადაცემა შეუსაბამო და უსაფუძვლოა.

საჩივრები სხვა განვითარების ბანკებთან დაკავშირებით

2018 წელს აგრეთვე შეიტანეს საჩივარი EBRD-ის პროექტის საჩივრის მექანიზმში (PCM)¹⁸ და ADB-ს სპეციალური პროექტის დახმარების ოფისში (OSPF).¹⁹ ეს საჩივრები დაიხურა PCM-ისა და OSPF-ის მიერ ჩატარებული დავის მორიგების პროცესის შემდეგ.

შუახვევის პროექტთან დაკავშირებული დამატებითი საჩივარი შეტანილ იქნა PCM-ის შესაბამისობის განხილვის ფუნქციაში 2018 წლის ივლისში ორი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის, Green Alternative-ისა და CEE Bankwatch Network-ის მიერ.²⁰ ეს საჩივარი

¹⁸ 2020 წლის ივლისში, PCM-ი შეიცვალა დამოუკიდებელი პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმით (IPAM)

¹⁹ IPAM, შუახვევი HPP, საქმის რეგისტრაცია, <https://bit.ly/3xNiXLO> და ADB, ანგარიშვალდებულების მექანიზმი, საჩივრების რეგისტრაცია პროექტის მიხედვით, <https://bit.ly/3lbbk6V>

²⁰ EBRD, პროექტის საჩივრის მექანიზმი შუახვევი HPP (თხოვნა #2). ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3Ekjbbww>

აღძრავდა უფრო ფართო საკითხებს პროექტის მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური ზემოქმედების შესახებ და შეიცავდა CAO-ს საჩივარში აღძრული პრობლემების მსგავს პრობლემებს მეწყერების გრუნტის წყლების ხელმისაწვდომობისა და ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებაზე.²¹ ამ მოხსენების დაწერას, PCM-ი განიხილავდა საჩივრის შესაბამისობას.

III. IFC-ის მიერ პროექტზე განხორციელებული განხილვა და ზედამხედველობა ინვესტირებამდე

ეს ნაწილი ასახავს IFC-ისა და MIGA-ს E&S პოლისებს და პროცედურებს პროექტთან დაკავშირებით. იგი აგრეთვე იძლევა IFC-ის შესრულების წინასწარ ანალიზს ამ სტანდარტებთან მიმართებაში პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში და მომჩივანთა მიერ აღძრული საკითხების კონტექსტში.

IFC-ის პოლისის ჩარჩო და ძირითადი მოთხოვნები

IFC-ის მიერ მომხმარებლისთვის გაწეული ინვესტიცია განხორციელდა მისი 2012 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის (მდგრადობის პოლისი) და შესრულების სტანდარტების (PS) პოლისის კონტექსტში, რომელიც ერთობლიობაში მოიხსენება როგორც “მდგრადობის ჩარჩო.” მდგრადობის პოლისის მეშვეობით, “IFC-ი თავისი მექანიზმის გამოყენებით ცდილობს უზრუნველყოს მონიტორინგისა და ზედამხედველობის ძალისხმევა, რომ მის მიერ დაფინანსებული ბიზნესის მიერ განხორციელებული ქმედებები განხორციელდეს შესრულების სტანდარტების შესაბამისად ” (პარაგრაფი 7). მდგრადობის პოლისი აგრეთვე აღნიშნავს, რომ “IFC-ის განვითარების მისიის ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს მის ძალისხმევაში, რომ განახორციელოს ინვესტირება და შეასრულოს მრჩეველის როლი იმ განზრახვით, რომ ‘არ დააზიანოს’ ხალხი და გარემო” (პარაგრაფი 9). IFC-ი ინვესტიციებს დებს მხოლოდ იმ პროექტებში და მხოლოდ მაშინ, როდესაც მის მიერ დაფინანსებული ქმედებები “შეასრულებს შესრულების სტანდარტების მოთხოვნებს დროის გონიერ ვადაში” (პარაგრაფი 22).

MIGA-ს მიერ პროექტი დაზღვეული იყო 2015 წელს, მას შემდეგ, რაც IFC-მ განახორციელა ინვესტირება. ამიტომ, IFC-მ აიღო ძირითადი პასუხისმგებლობა E&S-ს მექანიზმისა და პროექტის მონიტორინგისათვის. ამის შედეგად, შეფასება კონცენტრირებულია IFC-ის როლზე, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ MIGA დაეყრდნო IFC-ის წინასწარი ინვესტიციის E&S-ის შეფასებას და პროექტის ზედამხედველობას.²² ზემოთ მითითებული პოლისებისა და სტანდარტების გარდა, IFC-ის მიდგომა პროექტთან დაკავშირებული E&S-ის რისკების მართვისადმი ჩამოყალიბებულია მის E&S-ის განხილვის პროცედურებში (ESRP).

²¹ EBRD, პროექტზე ჩვილის მექანიზმის შეფასების ანგარიში. ხელმისაწვდომია აქ: <https://bit.ly/3oggKW4>

²² როდესაც საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) ან/და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), ან მსოფლიო ბანკის ჯგუფის (WBG) იურიდიული პირები ჩართულნი არიან პროექტში, MIGA შეიძლება დაეყრდნოს და გამოიყენოს ამ იურიდიული პირების გარემოს დაცვის სტანდარტები, გარემოს დაცვისა და სოციალური მექანიზმები, ან/და მონიტორინგი, WBG-ის ზოგადი ან ზიარი სახელმძღვანელოს შესაბამისად. MIGA, გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის პოლისი, პარაგ. 6, ოქტომბერი 1, 2013წ, <https://bit.ly/3EkjFmk>

საჩივარში აღძრული თემის უსაფრთხოების კონკრეტული პრობლემების შესაბამისად, PS4-ი თემის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და უშიშროების შესახებ მომხმარებლისთვის აწესებს მოთხოვნებს, რომ ამ უკანასკნელმა “შეაფასოს (პროექტის) რისკები და მათი ზემოქმედება პროექტის ქვეშ მოხვედრილი თემების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე პროექტის მიმდინარეობის მთელი ციკლის განმავლობაში და ... შეიმუშაოს პრევენციული და საკონტროლო ზომები, რომლებიც შეესაბამება კარგ საერთაშორისო ინდუსტრიულ პრაქტიკას (GIIP)...” (პარაგრაფი 5).

საჩივარში აღძრულ გარემოს დაცვის საკითხების შესაბამისად, (ბიომრავალფეროვნება და წყალზე წვდომა), PS6-ი ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი მართვის შესახებ, უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებას და მართვას. ამაში შედის მოთხოვნები, რომ ზემოქმედება „ექო სისტემის მომსახურებაზე“ თავიდან იქნეს აცილებული, მინიმუმამდე დაყვანილი და შემსუბუქებული, რაც გამოსადეგია ზემოქმედების ქვეშ აღმოჩენილი თემებისთვის (პარაგრაფი 24). ისეთ გარემოებებში, როდესაც დაიკარგა გამოყენების საშუალება ან წვდომა “იმ ნაწარმზე, რასაც ხალხი ექო სისტემიდან ეღებულობს” (PS6, პარაგრაფი 2) საჭიროა საგანგებო ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საარსებო წყაროების რესტავრაცია (იხ. PS4, პარაგრაფი 8 და PS5 მიწის შექმნის და არა ნებაყოფლობითი განსახლების შესახებ, პარაგრაფი. 25ff).

ინვესტიციამდე განხორციელებული გარემოს დაცვითი და სოციალური განხილვა

მოთხოვნები

როგორც ზოგადი სახის მოთხოვნა, IFC-ი ერთგულად ემსახურება E&S-ის განხილვას ინვესტიციის განხორციელებამდე, ანუ რაც “შეესაბამება გარემოს დაცვითი და სოციალური რისკების ან/და ზემოქმედების დონეს” (მდგრადობის პოლისი, პარაგრაფი 26). საჭიროა IFC-ის განხილვა იმისათვის, რომ გამოვლენილ იქნეს ნებისმიერი ხარვეზები მომხმარებლის პრაქტიკაში და შესაძლებელი გახდეს დამატებითი ზომების და მოქმედებების შეთავაზება ამ ხარვეზების გამოსასწორებლად IFC-ის მოთხოვნების შესაბამისად. IFC-ი აფიქსირებს დამატებით ქმედებებს E&S-ის სამოქმედო გეგმაში (ESAP) და შეაქვს ისინი IFC-ის მიერ ინვესტიციის განხორციელების პირობების სახით (მდგრადობის პოლისი, პარაგრაფი 28).

PS 1 (პარაგრაფი 7) მოითხოვს, რომ მომხმარებელმა შეიმუშაოს და დაიცვას გარემოს დაცვის და სოციალური რისკების გამოვლენის პროცესი და მათი პროექტზე ზემოქმედება. რისკების მოცულობისა და ზემოქმედების გამოვლენის პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს კარგ საერთაშორისო ინდუსტრიულ პრაქტიკას. გამოვლენის პროცესი დაფუძნებული უნდა იყოს ყველაზე ახალ გარემოს დაცვისა და სოციალურ საბაზო მონაცემებზე შესაბამისი დონის დეტალებით (Ibid.). PS1-ი გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასებისა და მართვის შესახებ აგრეთვე მოითხოვს, რომ მომხმარებელმა დაწეროს გარემოს დაცვის და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) რისკებისა და ზემოქმედების სამართავად (პარაგრაფი 13).

ზედამხედველობა გარემოს დაცვასა და სოციალურ საკითხებზე

მოთხოვნები

დამტკიცებისა და ინვესტიციის განხორციელების შემდეგ, IFC-ი მონიტორინგს უწევს პროექტს იმისათვის, რომ უზრუნველყოს მისი ინვესტიციის ხელშეკრულების პირობებთან და IFC-ის შესაბამის პოლისთან და სტანდარტებთან შესაბამისობა (მდგრადობის პოლისი პარაგრაფი 7).

PS1-ი მოითხოვს, რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედების პროექტებისათვის, მომხმარებელმა უნდა დაიქირაოს გარეშე ექსპერტები მისი მონიტორინგის ინფორმაციის დასაზუსტებლად. მონიტორინგის მასშტაბი უნდა შეესაბამებოდეს პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ რისკებს და ზემოქმედებას და შესაბამისობის მოთხოვნებს (პარაგრაფი 22).

როგორც ეს ESRP-შია ჩამოყალიბებული, “ზედამხედველობის მიზანია პროექტის PS-თან შესაბამისობის სტატუსის შესაფასებლად ინფორმაციის მიღება და ვალდებულების აღებისას დათქმული E&S-ის სხვა კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება; E&S-ის რისკის მიმდინარე დონის შეფასება; მომხმარებლებისთვის რჩევის მიცემა თუ როგორ გადაწყვიტონ E&S-ის მნიშვნელოვანი საკითხები; და გაუმჯობესებისა და კარგი პრაქტიკის შესაძლებლობების გამოვლენა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსგავსი პროექტებისათვის.”²³

2012 წლის მდგრადობის პოლისი დამატებით აცხადებს, რომ “თუ მომხმარებელი არ დაემორჩილება იურიდიულ ხელშეკრულებასა და მსგავს დოკუმენტებში ასახულ გარემოს დაცვისა და სოციალურ ვალდებულებებს, IFC-ი ჩაატარებს მუშაობას მომხმარებელთან, რომ მან დაემორჩილოს შესაბამისობას და თუ მომხმარებელი არ აღადგენს შესაბამისობას, IFC-ი მიიღებს აუცილებელ საჭირო ზომებს” (პარაგრაფი 24).

IFC-ის მიერ E&S-ის ზოგადი განხილვა ინვესტიციამდე და ზედამხედველობის მოკლე შინაარსი

IFC-ის გარემოს დაცვის და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი (ESRS) AGL-ის პროექტისათვის გაზიარებულ იქნა 2013 წლის 24 ოქტომბერს.²⁴ ESRS-ი დაეფუძნა EBRD-ისა და ADB-ს ერთობლივი შეფასების მისიას 2013 წლის მაისს, ხოლო გარემოს დაცვის და სოციალური (E&S) მექანიზმის მოხსენება მომზადდა მესამე მხრის საკონსულტაციო კომპანიის Arup-ის მიერ 2013 წლის აგვისტოში. IFC-იმ და სხვა კრედიტორებმა მოინახულეს საკვანძო პროექტების ობიექტები და ჩაატარეს შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, როგორცაა ორი დაზარალებული მუნიციპალიტეტის და სოფლების ადგილობრივი და ეროვნული არა-სამთავრობო ორგანიზაციები (NGOs), მეთაურები და თემის უფროსები.²⁵ კრედიტორებმა მოითხოვეს, რომ AGL-ს მოემზადებინა გარემოს დაცვის და სოციალური ზემოქმედების შეფასებები (ESIAs) საერთაშორისო ფინანსურ დაწესებულებასთან (IFI)

²³ ESRP 6, პარაგ.1, ვერსია 7, აპრილი 15, 2013წ.

²⁴ IFC გარემოს დაცვისა და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი, აჭარისწყალი ჯორჯია შპს, პროექტი #33435, <https://bit.ly/3lq0av8>

²⁵ Ibid.

შესახვედრად, რომელიც მოიცავდა IFC, EBRD და ADB მოთხოვნებს. ESIA-ს მოსამზადებლად კომპანიამ ჩართო მოტ მაკდონალდი და ადგილობრივი ფირმა Gamma Scientific-ი.

განხილვის შედეგების საფუძველზე, IFC-მ განახორციელა პროექტის კლასიფიცირება, როგორც E&S “კატეგორია A1”²⁶ შენიშვნით, რომ მას თან ახლდა მრავალგვარი და პოტენციურად მნიშვნელოვანი რისკები და ზემოქმედებები სხვადასხვა ობიექტებზე, შემდეგის ჩათვლით: ჰიდროლოგია/ეკოლოგიური ნაკადები, ბიომრავალფეროვნება, კაშხლის უსაფრთხოება და თემის/მუშახელის უსაფრთხოება.²⁷ IFC-მ მომხმარებლისგან მოითხოვა დამორჩილებოდა IFC-ის ყველა შესრულების სტანდარტს, PS7-ის გამოკლებით ძირმველი ხალხისათვის (IPs), რადგან პროექტის მიდამოებში გამოვლენილი არ ყოფილა არანაირი IP-ები.

ESRS-ი აღწერს IFC-ის მიერ შემდეგი დოკუმენტების განხილვას:

- საქართველოს ხელისუფლების მიერ (2013) მომზადებული პროექტის გარემოს დაცვაზე ზემოქმედების შეფასება
- საერთაშორისო კრედიტორებისათვის მომზადებული ESIA (2012 და 2013)
- ESIA-ს არა-ტექნიკური მოკლე შინაარსი (2013)
- დაინტერესებული მხარის ჩართვის გეგმა (2013)
- გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის გეგმა (ESMP, 2013)
- ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა (2013)
- ARUP-ის მიერ შექმნილი გარემოს დაცვისა და სოციალური მექანიზმის (ESDD) მოხსენება (2013)

კრედიტორები და მომხმარებელი შეთანხმდნენ გარემოს დაცვისა და სოციალურ სამოქმედო გეგმაზე (ESAP), რომელიც განსაზღვრავს თუ რა ქმედებები უნდა იქნეს განხორციელებული მომხმარებლის მიერ პროექტის მშენებლობისა და მართვის პროცესში. საჩივარში აღძრული საკითხების შესაბამისად, მომხმარებელს უნდა განეხორციელებინა შემდეგი:

- კრედიტორებისათვის მოეხსენებინათ ESAP-ის თითოეული მოთხოვნის სტატუსი და შესაბამის E&S-ის სტანდარტებთან შესაბამისობა (ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ხოლო ექსპლუატაციაში გაშვებისას კი ყოველწლიურად).
- დაესრულებინათ გარემოს დაცვის, სოციალური და უსაფრთხოების (ESHS) მართვის სისტემის განვითარება.
- გამოევიდნათ და შეეფასებინათ პროექტის მშენებლობის და მართვის შედეგად გამოწვეული თემის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, შეექმნათ და განეხორციელებინათ მათი გადაწყვეტისათვის შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები და გეგმები, (პოტენციური რისკების გაჩენამდე).

²⁶ A კატეგორიის პროექტი შეიცავს “ბიზნეს საქმიანობებს სავარაუდო მნიშვნელოვან უარყოფით ან სოციალურ რისკებზე ან/და მრავალმხრივ, შეუქცევად და უპრეცედენტო ზემოქმედებას”, <https://bit.ly/31DMdZV>

²⁷ IFC-ის 2012 წლის მდგრადობის პოლისი, პროექტის კატეგორია A როდესაც იგი მოიცავს “ბიზნეს საქმიანობებს სავარაუდო მნიშვნელოვან უარყოფით გარემოს დაცვისა და სოციალურ რისკებთან ან/და მრავალმხრივ, შეუქცევად და უპრეცედენტო ზემოქმედებასთან დაკავშირებით.” (პარაგ. 40).

ბიომრავალფეროვნებასთან და გრუნტის წყლების ნაკადებთან დაკავშირებული ESAP-ში შემავალი კონკრეტული ქმედებები ჩამოყალიბებულია ქვემოთ მოცემულ ქვე-ნაწილებში.

2014 წლის 1 მაისს, ორივე ინვესტიცია (კაპიტალი და სესხი) წარდგენილი და დამტკიცებული იქნა IFC-ის საბჭოს წინაშე. 2014 წლის მაისში, IFC-მ ხელი მოაწერა ინვესტიციის ხელშეკრულებას. IFC-მ განახორციელა პირველი და მეორე კაპიტალის გამოწერა 2014 წლის ნოემბერში. პირველი სესხი გაიცა 2015 წლის მარტში. MIGA-მ 2015 წლის 27 აპრილს დააზღვია Tata Power Company Ltd. პროექტში მის მიერ ჩადებულ კაპიტალზე.²⁸ პროექტის მშენებლობა დაიწყო 2014 ივნისში.

IFC-ის პროექტზე ზედამხედველობა შედგებოდა ყოველწლიური ვიზიტებისგან.²⁹ მისი ზედამხედველობის შესახებ ინფორმაციის გადაცემა ხდებოდა Arup-ის ანგარიშებში, რომელშიც Arup-ი მოქმედებდა როგორც E&S-ის დამოუკიდებელი ზედამხედველი კონსულტანტი. Arup-ი აგრეთვე ეწვია პროექტს და განიხილა მომხმარებლის მოხსენება პროექტის E&S-ის შესრულებაზე.

2017 წელს, პროექტის გაშვებისას, გვირაბების რამდენიმე სექცია დაინგრა.³⁰ 2019 წლის თებერვალში, IFC-ის საბჭომ დაამტკიცა ვალის რესტრუქტურისა და გასცა საჭირო რაოდენობის თანხები მომხმარებლის დახმარების მიზნით, რომ ამ უკანასკნელს შეეკეთებინა დანგრეული გვირაბი. 2020 წლის აპრილში, IFC-მ გაყიდა AGL-ის წილი და ამით გავიდა კაპიტალ დაბანდებიდან. თუმცა, მისი სესხი და MIGA-ს დაზღვევა ჯერ კიდევ მოქმედია. პროექტის საოპერაციოდ გაშვება დაიწყო 2020 წლის მარტში. 2020 წლის სექტემბერში COVID-19-ით გამოწვეული მგზავრობის შეზღუდვების გამო, დამოუკიდებელმა გარემოს დაცვისა და სოციალურმა კონსულტანტმა (IESC) ჩაატარა ვირტუალური მისია.

IFC-ის E&S-ის განხილვა სარჩელში აღძრულ პრობლემებთან დაკავშირებით

შემდეგი ქვე-ნაწილები უზრუნველყოფენ IFC-ის E&S-ის მიმოხილვას საჩივარში აღძრულ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით: მეწყერები და ქვათა ცვენები; გრუნტის წყლის ნაკადები; და ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე.

1) მეწყერები და ქვათა ცვენები

წინასწარი-საინვესტიციო განხილვა

²⁸ მრავალმხრივი ინვესტიციის დაზღვევის სააგენტო, აჭარისწყლის ჰიდრო ელექტრო სადგური, პროექტის დახასიათება, <https://bit.ly/3l95tPr>

²⁹ კრედიტორები მოითხოვდნენ მომხმარებლისგან, რომ მას წარედგინა ანგარიშები: ყოველ ექვს თვეში ერთხელ კონსულტაციის პერიოდში და ყოველწლიურად ოპერაციის განხორციელებისას. წლიური ვიზიტების ადგილზე ტარდებოდა კოორნავირუსის დაწყებამდე 2020 წელს.

³⁰ აჭარისწყლის ჰიდრო ელექტრო სადგურის პროექტი, წელიწადში ორჯერ გამოცემული გარემოს დაცვასა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (ივლისიდან დეკემბრამდე 2017წ.), გვ.2, <https://bit.ly/32KAXEM>

როგორც ESIA, ისე ESRS-ი პროექტისათვის აცხადებენ, რომ აჭარის რეგიონი საკმაოდ მიდრეკილია ბუნებრივი სტიქიების მიმართ, როგორცაა ღვარცოფები, ეროზია და მეწყერი.³¹ ESIA-ი აღნიშნავს, რომ რეგიონში 250-ზე მეტი დასახლება (დაახლოებით 20,000 ოჯახი) სერიოზული მეწყერის რისკის ქვეშაა და სამიზ ზონებში შედიან. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში 1,900 სახლი დაინგრა მეწყერის გამო. გარდა ამისა, ESIA მიუთითებს 1989 წლის მეწყერის კატასტროფაზე რეგიონში, რომლის შედეგადაც დაიმარხა პატარა დასახლება სოფელ შხალთას ახლოს, რომელიც განლაგებულია პროექტის მიერ გამოწვეული ზემოქმედების ერთ-ერთი მდინარის ხეობაში. ESIA განსაკუთრებით გამოყოფს შუახევის მუნიციპალიტეტს, როგორც მეწყერის და ეროზიის რისკის ერთ-ერთ კანდიდატს, გადამეტებული ხვნის, წყლის არხების სიხშირისა და ტყეების გაჩეხვის გამო.³² ამ კონტექსტში, ESIA აღიარებს, რომ ნებისმიერი დიდი მასშტაბის საინჟინრო სამუშაოების შეთავაზებას შეუძლია პოტენციურად გაააქტიუროს ძველი მეწყერი და გამოიწვიოს ახალი მეწყერების წარმოქმნა.³³ ESIA აღნიშნავს, რომ AGL-ი დეტალური ინჟინრული კვლევების ბაზაზე განსაზღვრავს პროექტის მომავალი დიზაინისა და კაშხლების ობიექტების ადგილ-მდებარეობას. იგი ატარებს პროექტის ობიექტის გეოლოგიურ, გეოდეზიურ კვლევებს იმისათვის, რომ რამდენადაც ეს შესაძლებელია, მიაგნოს მეწყერისა და ეროზიის მცირე რისკების მქონე პროექტის ინფრასტრუქტურის ობიექტებს.³⁴ სოფელ მახალაკიძეების ახლოს მდებარე ჩირუხისწყლის კაშხლის გეო-მორფოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ კაშხლის ობიექტსა და მიმდებარე ქედებს ჰქონდათ უმნიშვნელო ან ძალიან მცირე ბუნებრივი სტიქიების რეიტინგი და არ ითვლებოდნენ მნიშვნელოვანი მეწყერის მიდრეკილების მქონე ადგილებად. ESIA აგრეთვე აღნიშნავს, რომ გვირაბების სამშენებლოდ ზედაპირის ახლოს მიმდინარე აფეთქებები და სამშენებლო გზის გაჭრები მცირეოდენ რისკს უქმნიდნენ მეწყერის გააქტიურებას.

ESIA აღნიშნავს, რომ ამ რისკების შესამსუბუქებლად, თავიდან რომ აეცილებინათ ნიადაგის ეროზია და მეწყერი გზისა და კაშხლის მშენებლობისას და გვირაბების გათხრისას, ისინი მისდევდნენ საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკას. ამაში შედიოდა გვირაბის პორტალების დაყენება მეწყერი ადგილებიდან მოშორებით, დაბალი ენერჯის ასაფეთქებლების გამოყენება ვიბრაციის შესამცირებლად და რეგულარული ვიზუალური დაკვირვება. მეწყერის წარმოქმნის დამატებითი პრევენციის ზომები მოიცავდნენ წყლის რეზერვუარების გამაგრებას, ფერდობებზე ბეტონის ეკრანის დადგმას და კლდის ექსკავაციებს გვირაბების ასაშენებლად.³⁵ ESIA აღნიშნავს, რომ საოპერაციო ფაზის მოლოდინში, კვალიფიცირებულ ინჟინერ გეო-მორფოლოგს პროექტის გაშვებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში უნდა შეემოწმებინა

³¹ IFC-ის გარემოს დაცვისა და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი, აჭარისწყალი ჯორჯია შპს, პროექტის #33435, <https://bit.ly/3lxAWkv>

³² სოფელ მახალაკიძეები მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტში.

³³ Clean Energy Group და Mott MacDonald. ESIA ნაწილი II, აპრილი 2014წ. გვ. 148. <https://bit.ly/3EI3W6m>

³⁴ გეო-მორფოლოგიური და მეწყერის რუკები შეყვანილი იყო ESIA-ში და აღნიშნავდნენ იმ ადგილებს, სადაც მეწყერის რისკი მერყეობდა დაბალი რისკიდან მაღალზე და სადაც ოპერაციებს შეეძლო გამოეწვია მასობრივი მოძრაობა და ზემოქმედება მოეხდინა სქემასა და მოსახლეობაზე, Mott MacDonald და Clean Energy Group. ESIA ნაწილი II, აპრილი 2014წ, გვ. 404. <https://bit.ly/3EI3W6m>

³⁵ Clean Energy Group და Mott MacDonald. ESIA ნაწილი III, აპრილი 2014წ. ტომი III დანართები. დანართი B. კონსულტაცია. B1 კონსულტაციის მოკლე შინაარსი და გამჟღავნების მოქმედებები. ოქტომბერი 2012წ. გვ. 16. <https://bit.ly/3oefSkS>

რეზერვუარის ადგილები ყოველ ექვს თვეში ერთხელ, რათა მას დაედასტურებინა, რომ მეწყერის რისკი არ იყო შეცვლილი, მაგალითად, რეზერვუარის დონის ცვლილებების გამო.

ზედამხედველობა

2015 წლის ნოემბერში, IFC-ის ზედამხედველობის პერიოდში, AGL-მა მოამზადა თემის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკის დამოუკიდებელი შეფასება და შესთავაზა მათი გადაჭრის გზები. პროექტის დაგეგმილი ან დაუგეგმავი სამუშაოების შედეგად წარმოშობილი მეწყერები და წყალდიდობები წარმოადგენდნენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან აღწერილ რისკებს. გარდა ამისა, 2015 წლის აგვისტოში მთავრობამ მოითხოვა, რომ AGL-ს ჩანჩხალოში დაეყენებინა ონლაინ ვიზრაციის მონიტორინგის სისტემა. AGL-მა დააყენა სისტემა და მონაცემები გაუგზავნა მთავრობას.

2016 წლის თებერვალში, IESC-მა გააკეთა მოხსენება, რომ მიმდინარეობდა შერჩეული ადგილების მეწყერის წარმოშობის მონიტორინგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ექვემდებარებოდა დამატებით მონიტორინგს. 2016 წლის დეკემბერში, IESC-მ აღნიშნა, რომ მთავრობის თანამდებობის პირების გაერთიანებულმა საბჭომ, თემის წარმომადგენლებმა და დამოუკიდებელმა გეოლოგიურმა ექსპერტებმა ჩაატარეს შემოწმებები გვირაბის გასწვრივ არსებული სახლების შემოწმება გვირაბის მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის შემდეგ 2014 და 2016 წლებში. 2016 წლის ივლისში, პროექტის ობიექტის ფარგლებში არსებული 1,284 სახლი შემოწმდა და შედარებულ იქნა 2014 წლის აგვისტო-სექტემბერის შემოწმებისას შეგროვებულ მონაცემებთან.³⁶ გამოვლინდა, რომ დაზიანებული იყო ას-ოცდაცხრა სახლი, მაგრამ მათი დაზიანება გამოწვეული იყო ბუნებრივი პროცესებით, რაც დაკავშირებული არ იყო პროექტთან და 33 სახლი მიჩნეულ იქნა დაზიანებულად სხვა მიზეზების გამო, როგორცაა არასრულყოფილი ფუნდამენტი და სტრუქტურული დეფექტები. აჭარის მთავრობამ AGL-ს მოსთხოვა 33 სახლის შეკეთება ამ ხელახლა აშენება, რადგან ისინი განლაგებულები იყვნენ პროექტის მიდამოებში.

2017 წლის მარტში, IFC-ი იტყობინებოდა, რომ იმართებოდა თემის პროტესტები, რომლებიც მოითხოვდნენ მეწყერის მონიტორინგის სისტემის დაყენებას და გეოლოგიურ ანგარიშებზე წვდომას. ამის საპასუხოდ, IESC-მ მომხმარებელს მოსთხოვა, რომ გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმაში (ოპერატიული ფაზა) შეეტანა ობიექტზე მისასვლელი გზების რეგულარული დაკვირვებები და ტექნიკური მომსახურება. გარდა ამისა, AGL-ი ახორციელებდა მიწის ბიძგების მონიტორინგს პროექტის მიდამოებში დამონტაჟებული 30 მონუმენტის საშუალებით და აღმოჩენილი არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მიწის ბიძგები.³⁷ იმავე წელს მოგვიანებით მომხმარებელი იტყობინებოდა სოფელ ჩანჩხალოში მეწყერის მუდმივი მონიტორინგის შესახებ, რადგან გვირაბების დანგრევამ ადგილობრივ მოსახლეობას საშიშროება შეუქმნა. ამ კონტექსტში, AGL-მა ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა თემებთან

³⁶ წელიწადში ორჯერ გამოცემული გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (2016 წლის ივლისიდან დეკემბრამდე). გარემოს დაცვისა და სოციალური შესრულების ანგარიში. აპრილი 2017წ. <https://bit.ly/31r30Pb>

³⁷ წელიწადში ორჯერ გამოცემული გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (იანვრიდან ივნისამდე 2017წ). გარემოს დაცვისა და სოციალური შესრულების ანგარიში. ოქტომბერი 2017წ. <https://bit.ly/3DJ3LHp>

საკითხის ახსნის, დაგეგმილი მაკორექტირებელი ქმედებების მიზნით და იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიიღებდა პროექტი, რომ თავიდან აეცილებინა მეწყერები.

2018 წელს, IESC-ი განაგრძობდა მოხსენებას, რომ ადგილობრივებმა მეწყერის გააქტიურება დაუკავშირეს გვირაბის გაყვანას და გზებზე გაზრდილ მოძრაობას. 2018 წელს პროექტის საჩივრის მექანიზმმა დაარეგისტრირა 11 საჩივარი ეროზიის და მეწყერების შესახებ. თუმცა არც ერთი საჩივარი არ ახსენებდა სოფელ მახალაკიძეებს. IESC-მა წარადგინა მოხსენება იმის შესახებ, რომ AGL-ი არ ეთანხმებოდა ბრალდებებს, მაგრამ გამოხატავდა მზადყოფნას, რომ შეეკეთებინა გზები საჭიროებისამებრ. ობიექტის პერიოდული მონიტორინგი გრძელდებოდა გვირაბების კონვერგაციის მონიტორინგთან ერთად (დანგრევის შემდეგ), და იმ კონკრეტული ადგილების მონიტორინგთან ერთად, რაც უკავშირდებოდა დაკვირვებებს და თემის მოთხოვნებს.

IESC-ი ეწვია ობიექტს 2019 წლის ივნისში და იტყობინებოდა, რომ პროექტზე შეტანილი იყო 880 საჩივარი.³⁸ საჩივრები ძირითადად ეხებოდა აფეთქებების შედეგად სახლების დაზიანებებს და მეწყერის მონიტორინგს. AGL-მა ასევე შეიმუშავა გეოლოგიური მონიტორინგის პროგრამა, რომელიც მას უნდა დაენერგა პროექტის გაშვების ფაზაში იმისათვის, რომ გამოვლენილიყო ნებისმიერი გეოლოგიური ცვლილებები და ადრეულ სტადიაზე მომხდარიყო ურთიერთკავშირის დამყარება.

პროექტმა კომერციული ოპერაციები დაიწყო 2020 წლის მარტში და 2020 წლის სექტემბერში IESC-მა ჩაატარა ვირტუალური ვიზიტი ობიექტზე. AGL-ი იტყობინებოდა ამის შესახებ გასულ წელს, მთავრობამ გამოძია გვირაბის ჩამოშლის ინციდენტები.³⁹ გამოძიება ტარდებოდა 2017 წლის აგვისტოს გადამკვეთი გვირაბის ჩამონგრევაზე და 2017 წლის ოქტომბერში მთავარი სარბოლო გვირაბის ბლოკადებზე. ამის საპასუხოდ, AGL-მა ამოტუმბა და შეამოწმა ყველა პროექტის გვირაბი. ვიზუალურად ჩანდა ქვათა ცვენის მიერ გამოწვეული ორი ჩამონგრეული ნაწილი გადამკვეთ გვირაბში და რამდენიმე ჩამონგრეული ნაწილი გამოვლენილ იქნა მთავარ სარბოლო გვირაბში. დაიწყო გვირაბის შეკეთების სამუშაოები AGL-ის მიერ. სოციალური, გარემოს დაცვის და ტექნიკური ჯგუფები მუშაობდნენ გვირაბის ჩამოშლის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების აღმოსაფხვრელად. AGL-მა აგვისტოში თუ რა მასშტაბის ბლოკადას ესაჭიროებოდა მაკორექტირებელი სამუშაოები და გარანტია მოგვცა, რომ ბლოკადები არ გამოიწვევდა არანაირ მეწყერს.⁴⁰

დასკვნა

CAO ასკვნის, რომ ეს საკითხი არ საჭიროებს შესაბამისობის გამოძიებას. პროექტის დოკუმენტების წინასწარი განხილვის და მომჩივნებთან ჩატარებული გასაუბრების ბაზაზე, ჩანს, რომ პროექტის მშენებლობისას არ მომხდარა არანაირი მეწყერთან დაკავშირებული

³⁸ გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (ივნისი 2019 წ. ვიზიტი ადგილზე). Arup. ოქტომბერი 2019წ. <https://bit.ly/3xRP11k>

³⁹ გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (სექტემბერი 2020წ). Arup. თებერვალი 2021წ. <https://bit.ly/3xOax70>

⁴⁰ წელიწადში ორჯერ გამოცემული გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (2017 წლის ივლისიდან დეკემბრამდე.) გარემოს დაცვისა და სოციალური შესრულების ანგარიში 2019 წლის დეკემბერი. <https://bit.ly/3dqOLiW>

დაზიანება სოფელ მახალაკიძეებში. პროექტის დიზაინში გათვალისწინებული იყო ყურადღების გამახვილება წინასწარი შეფასების დროს ჩატარებულ გეოლოგიურ და ტოპოგრაფიულ კვლევებზე და ამავე დროს შექმნილ რუქებზე, გარდა იმისა, რომ გამოიყენებოდა დაბალი ენერჯის ასაფეთქებლები, მიმდინარეობდა კლდის ექსკავაცია და მიმართავდნენ ვიზუალური დაკვირვების ზომებს პროექტის მიერ გამოწვეული მეწყერის რისკის შესამცირებლად. პროექტის ზედამხედველობაში შედიოდა მიწის ბიძგების მონუმენტების დამაგრება, მშენებლობამდე და მშენებლობის შემდეგ სახლების შემოწმება და ვიზუალური დაკვირვების საპასუხოდ და თემების მოთხოვნის საფუძველზე მეწყერის მონიტორინგის სისტემების დამაგრება. ამ კონტექსტში და აგრეთვე იქიდან გამომდინარე, რომ მომჩივნებმა CAO-თან აღნიშნეს, რომ მშენებლობის პერიოდში მათ ქონებას არ ემუქრებოდა მნიშვნელოვანი ზიანი, CAO-მ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ეს საკითხი დაეხურა.

2) გრუნტის წყლების ნაკადი

წინასწარი განხილვა ინვესტიციამდე

ESIA აცხადებს, რომ პროექტის ობიექტის ტერიტორიაზე წყალი გამოიყენება სარწყავად, თევზის მეურნეობისთვის და დასასვენებელი მიზნებით, ხოლო ამგვარი საქმიანობები კი ძირითადად არ ექცეოდა პროექტის მშენებლობის ქვეშ.⁴¹ თუმცა, ESIA აგრეთვე აღნიშნავს, რომ შესაძლოა არსებობდეს მნიშვნელოვანი ზემოქმედება იმ ადგილებში, სადაც მშენებლობის დროს გვირაბი ყველაზე ახლოს გადიოდა ზედაპირთან, სასმელი, სარწყავი და საყოფაცხოვრებო წყლის რესურსებზე ზემოქმედების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ESIA აღნიშნავს, რომ წყლის ჭების დროებითი და მუდმივი დრენაჟი შეიძლება მომავალში წარმოიშვას და ამგვარი რისკების დონისა და ალბათობის წარმოშობა ამჟამად უცნობია.⁴² ESIA ამ პოტენციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში შემამსუბუქებელი ზომების მიღებას უწევს რეკომენდაციას და ეს რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს:

- i. გვირაბის მოპირკეთება იმ ადგილებში, სადაც არ არსებობდა სოფლის მოსახლეობის მიერ გამოყენებული წყაროს წყლის სათავეების დარღვევის რისკი.
- ii. სამშენებლო ნაერთების გადატანა მოწყვლადი წყლის თვისებებიდან შორს.
- iii. შესაძლო ზემოქმედების მქონე პატარა მოცულობის სარწყავებისთვის ან თევზის მეურნეობისთვის მცირე რაოდენობის ალტერნატიული მომარაგების სისტემების უზრუნველყოფა.⁴³

ESIA დამატებით აღნიშნავს, რომ ოპერაციის ფაზაში შესაძლო ზემოქმედებას, მდინარე აჭარისწყალში გამდინარე წყლის მოცულობის ჩათვლით სავარაუდოდ პირდაპირი გავლენა ექნება წყლის ექო-სისტემის მომსახურებაზე, ამჟამად არსებულ წყლის სარწყავად და საყოფაცხოვრებო მომარაგებისთვის გამოყენებაზე ზემოქმედების ჩათვლით.⁴⁴

IFC-ის პროექტის ESRS-ი აღნიშნავს, რომ გვირაბის გასწორება დაპროექტებული იყო იმგვარად, რომ მომხდარიყო მოსახლეობის მიერ გამოყენებული წყლის წყაროების თავიდან

⁴¹ Clean Energy Group და Mott MacDonald. ESIA ნაწილი II, აპრილი 2014წ. გვ.392, <https://bit.ly/3DgyULF>

⁴² *Ibid.* P. 148.

⁴³ *Ibid.* P 367

⁴⁴ *Ibid.* P. 355

აცილება (როგორც ეს აღნიშნულია ESIA-ში) და აქედან გამომდინარე, წყლის ნაკლებობის რისკი იყო შედარებით დაბალი.⁴⁵ მიუხედავად ამისა, პროექტი უზრუნველყოფდა წყლის დროებით მომარაგებას იმ ადგილებში, სადაც დაიკარგა სასმელი წყალი. გარდა ამისა, პროექტის მიერ დამონტაჟებული იქნება მუდმივი ალტერნატიული წყლის მიწოდება გრძელვადიან პერიოდში დაკარგული სასმელი წყლის რესურსების შესავსებად.

ზედამხედველობა

ზედამხედველობის პერიოდში, 2014 წლის აგვისტოში, IESC-ი ეწვია პროექტის ობიექტს და იტყობინებოდა, რომ მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად ხელმოწერილ იქნა რამდენიმე ურთიერთგაგების მემორანდუმი (MOU) ადგილობრივი თემების წარმომადგენლების, მუნიციპალიტეტის, შესაბამის NGO-ს და AGL-ს შორის. IESC-ის თანახმად, MOU მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა წყაროს წყლების სიუხვე და ხარისხი და ადგილობრივი გზების ხარისხი. განხილული დოკუმენტიდან ნათლად არ ჩანს განიხილა თუ არა IESC-მ ან IFC-მ MOU-ები.

2015 წელს, IESC-ი ეწვია პროექტს და მომხმარებელს მისცა რეკომენდაცია, რომელიც მას უნდა განეხორციელებინა ESAP-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მის მიერ თემებისთვის წყაროს წყლებთან დაკავშირებით მათ მიერ შეტანილ საჩივრებზე პასუხის გაცემის ეფექტურობის და პასუხის დროულად გაცემის გაუმჯობესების ჩათვლით. გასული წლის ოქტომბერში IESC იტყობინებოდა, რომ მისი მომხმარებელი დაჯარიმდა ეროვნული ხელისუფლების მიერ გარემოს დაცვის ნებართვის დაუმორჩილებლობის გამო, წყაროს წყლის არაადეკვატური მონიტორინგის ჩათვლით. AGL-მა ზეპირად დაუდასტურა რომ მას დაქირავებული ჰყავდა ჰიდროლოგი ყოველთვიური ჰიდროლოგიური მონიტორინგის შეფასების დასაწერად და რომ მისი შედეგები რეგულარულად ეგზავნებოდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს. თუმცა, IESC-მ აგრეთვე აღნიშნა, რომ მას შესაძლებლობა არ ჰქონდა განეხილა მომხმარებლის ქმედებების მტკიცებულება მარეგულირებელი შესაბამისობის საკითხის აღმოსაფხვრელად.

2016 წელს IESC-მა აღნიშნა, რომ თემის მიერ შეტანილი საჩივრების უმრავლესობა უკავშირდებოდა წყაროს წყლების შემცირებას ან მათ დაკარგვას. ამის საპასუხოდ, IESC-მა აღნიშნა, რომ მომხმარებელს ადგილზე ჰქონდა მოქმედი საჩივრის მექანიზმი. თუმცა, მისი მართვა მოითხოვდა გარკვეულ გაუმჯობესებას IESC-მა აღნიშნა, რომ მომხმარებელმა ჩაატარა წყაროს წყლის მონიტორინგი 20 სოფელში იმისათვის, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო პროექტის ნებართვასთან. IESC-მა თავის მონიტორინგის ანგარიშს არ დაურთო რაიმე ანალიზი წყაროს წყლის მონიტორინგის თაობაზე. როგორც ეს, ასევე მორიგი IESC-ს ანგარიშები არ შეიცავს რაიმე ანალიზს იმის შესახებ, დაკავშირებული იყო თუ არა პროექტებთან თემების საჩივრები დაკარგული წყაროს წყლების თაობაზე. ამის მაგივრად, ამ საკითხს უმკლავდებოდნენ დაინტერესებული პირების ჩართვის და საჩივრის გადაწყვეტის კონტექსტში.

2017 წლის შუა თვეებიდან პროექტის ზედამხედველობის დოკუმენტაცია აღნიშნავს, რომ პროექტის საჩივრების მექანიზმში შეტანილ იქნა წყაროს წყლის დაკარგვასთან

⁴⁵ IFC-ის გარემოს დაცვისა და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი, აჭარისწყალი ჯორჯია შპს, პროექტი #33435, <https://bit.ly/3lxAWkv>

დაკავშირებული 19 საჩივარი. ამის პასუხად, მომხმარებელმა ახსნა, რომ ეს წყაროს წყლები მდებარეობენ გვირაბის ტრასის გარეთ და პროექტი მათზე გავლენას ვერ მოახდენდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სოფლებისთვის AGL-მა წამოიწყო წყლის მომარაგების პროექტები და IESC-ი იტყობინებოდა, რომ არც ერთი ოჯახი უწყლოდ არ დარჩენილა. 2017 წლის სექტემბერში ობიექტზე ვიზიტის შედეგად, IESC-მ რეკომენდაცია გაუწია მომხმარებელს, რომ მას ჩაერთო ექსპერტი კონსულტანტი, რომელიც კრედიტორებს წარუდგენდა მის მოსაზრებებს წყაროს წყალზე თემის საჩივრების შესახებ. IESC-ი შემდეგ განიხილავდა მითითებებს ამ კონსულტანტის დასაქირავებლად. თუმცა, CAO-ს ხელთ არსებული ინფორმაციით ნათელი არაა ჩატარდა თუ არა ამგვარი შეფასება წყაროს წყალზე პროექტის ზემოქმედების შესახებ, ან თუ რა იყო მისი შედეგები, რადგანაც ეს მითითებული არაა ზედამხედველობის მომდევნო დოკუმენტებში.

2018 წლის ნოემბერში, IESC-ი ეწვია ობიექტს და მომხმარებელს რეკომენდაცია მისცა ხელახლა წამოეწყო წყაროს წყლის მონიტორინგი სანამ დაიწყებოდა პროექტის ოპერაციები.

2019 წელს IESC-მ აღნიშნა, რომ მომხმარებელმა შეიმუშავა ჰიდროგეოლოგიური და გეოლოგიური მონიტორინგის გეგმა, რომელიც უნდა დანერგილიყო პროექტის გაშვებისას იმ მიზნით, რომ გამოევლინა წყაროს წყლების წარმოშობისა და გაქრობის საკითხები. ამ დროისათვის, გეგმა ადეკვატურად იყო მიჩნეული.⁴⁶

2020 წელს IESC-მ აღწერა წყაროს წყლების მონიტორინგი როგორ ელემენტარული, რადგან იგი დამოკიდებული იყო ვიზუალურ შემოწმებებზე AGL-ის კონკრეტული თანამშრომლების მიერ.⁴⁷ მან მომხმარებელს რეკომენდაცია მისცა, რომ: (a) გაეუმჯობესებინა ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის მასალები ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი ეფექტური ინტერპრეტაცია მესამე პირების მიერ; (b) გაეზიარებინა ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის შედეგები ადგილობრივი მოსახლეობისთვის ადვილად გასაგები (არა ტექნიკური) ფორმით; და (c) ხელახლა დაეწყო მონაწილეობის მიღება წყაროს წყლების მონიტორინგზე.

დასკვნა

ESIA-მ გამოავლინა მნიშვნელოვანი პოტენციური ზემოქმედებები იმ ადგილებში, სადაც გვირაბი ყველაზე ახლოს გადიოდა ზედაპირთან და გვირაბის შესასვლელთან, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს დასალევი, სარწყავი და საყოფაცხოვრებოდ გამოსაყენებელი წყლის რესურსებზე. ინვესტიციის განხორციელებამდე, IFC-მ აღნიშნა, რომ გვირაბის ტრასის გამო, წყლის ნაკლებობის რისკი შედარებით დაბალი იყო. მიუხედავად ამისა, პროექტი შეიცავდა დებულებას წყლის მომარაგების შესახებ მასზე წვდომის დროებით ან მუდმივად გაქრობის შემთხვევაში, როგორც შემამსუბუქებელ ზომებს.

თემის მიერ განუწყვეტლივ გაგზავნილი საჩივრები წყაროს წყლების გამოჩენის და გაქრობის შესახებ აღიძვრებოდა მთელი მშენებლობის პერიოდში. AGL-მა ჩაატარა წყაროს წყლის მონიტორინგი მშენებლობის მსვლელობისას, რითაც განპირობებული იყო მის მიერ გარემოს

⁴⁶ გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (დეკემბერი 2019წ. ადგილზე ვიზიტი). Arup. თებერვალი 2020წ. გვ. 13, <https://bit.ly/3djamqE>

⁴⁷ გარემოს დაცვისა და სოციალური მონიტორინგის ანგარიში (სექტემბერი 2020წ. ადგილზე ვიზიტი). Arup. თებერვალი 2021წ. გვ. 20, <https://bit.ly/3GpsAnh>

დაცვის ნებართვის აღება. თემებისგან განუწყვეტელი საჩივრების მიღების გათვალისწინებით, IESC-მა რეკომენდაცია მისცა მის მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელს წარედგინა შეფასება იმის შესახებ, ახდენდა თუ არა ზემოქმედებას პროექტი წყლის წყაროებზე. თუმცა, CAO-ს ხელთ არსებული დოკუმენტებით ნათელი არაა ჩატარდა თუ არა ეს დამოუკიდებელი შეფასება. ამის მაგივრად, IESC-მ აღნიშნა, რომ მომხმარებელი თავის მხრივ ატარებდა საგაზაფხულო წყლის მონიტორინგს. 2020 წლის მდგომარეობით, EISC-მ ეს მონიტორინგი დაახასიათა როგორც ელემენტარული. IFC-ის ზედამხედველობის დოკუმენტების CAO-ის მიერ განხილვა აგრეთვე აღძრავს კითხვებს საბაზისო მონაცემების ადეკვატურობის შესახებ, რომლებიც საჭიროა გრუნტის წყლების წვდომაზე პროექტის ზემოქმედების შესაფასებლად.

თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ აღნიშნულს, ნათელი არაა, რომ IFC-ის მიერ პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის პერიოდში პროექტის ზემოქმედება წყაროს წყლებზე სათანადოდ იყო განხილული, როგორც მომჩივანთა სოფლისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი. განსაკუთრებით, CAO-ს ეზადება კითხვები IFC-ის მიერ PS1 მოთხოვნის განხილვასა და ზედამხედველობაზე, რომ:

- (a) შეეფასებინა პროექტის რისკები და ზემოქმედებები კარგი ინდუსტრიული პრაქტიკის შესაბამისად (პარაგრაფი 5)
- (b) დაეწესებინა გარემოს დაცვისა და სოციალური საბაზისო მონაცემები შესაფერისი დონის დეტალებით (პარაგრაფი 7), და
- (c) დაეწესებინა E&S-ის მართვის პროგრამა, რომელიც თანაზომიერი იქნებოდა პროექტის რისკებთან და ზემოქმედებებთან და რომელიც სათანადო პასუხს გასცემდა გაუთვალისწინებელ ვითარებაში (პარაგრაფები 15 & 16).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ წყაროს წყალი მომჩივანთა საარსებო წყაროს წარმოადგენს, CAO-ს აგრეთვე ეზადება კითხვები იმის შესახებ, დააკმაყოფილა თუ არა IFC-მა პროექტის ექო-სისტემის მომსახურებაზე ზემოქმედების შემამსუბუქებელი მოთხოვნები PS4, 5 და 6-ის თანახმად.

3. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

წინასწარი-საინვესტიციო განხილვა

ESIA აცხადებს, რომ მდინარე აჭარისწყლის სისტემა საინტერესოა მდიდარი ბიომრავალფეროვნებით, სადაც არის ბუნებრივი ტყეების ჰაბიტატის მრავალფეროვნება თავისი მცენარეებით, წყლის და ხმელეთის სახეობებით. აქედან გამომდინარე, IFC-მა მდინარის აუზი მიიჩნია როგორც „კრიტიკული ჰაბიტატი“, რაც განსაზღვრულია PS6-ში.⁴⁸ ESIA აღნიშნავს, რომ პროექტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს რეგიონის ბიომრავალფეროვნებაზე და ექო-სისტემის მომსახურებაზე. თუმცა, ეს ზემოქმედება

⁴⁸ IFC-ის გარემოს დაცვისა და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი, აჭარისწყალი ჯორჯია შპს, პროექტის #33435, <https://bit.ly/3lxAWkv>

შესაძლებელია მნიშვნელოვნად იქნეს შემცირებული შეთავაზებული შემამსუბუქებელი ზომების შემუშავებით.⁴⁹

IFC-ის ESRS-ი აცხადებს, რომ AGL-მა გამოიკვლია პროექტის არეალი 2012-დან 2013 წლამდე თევზის, ფლორის და სხვა სახეობების ჩათვლით.⁵⁰ ESRS-ი აღნიშნავს, რომ კაშხლისა და ჯებირის კედლის მშენებლობა ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოსალოდნელ ზემოქმედებას მოახდენდა თევზებსა და წყლის ჰაბიტატზე და მუშაობის პერიოდში შეიცვლებოდა ნაკადის რეჟიმი ამ მდინარეებზე. გაკეთდა შემამსუბუქებელი ზომების შეთავაზება ESIA-სა და გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP) და მოხდა კონსოლიდაცია პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში (BAP). ამაში შედის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება: (a) ველური ბუნების დაცვის თანამშრომლის დანიშვნა თემისათვის პროექტის განხორციელების სრული ციკლის პერიოდში, (b) რეზერვუარების ირგვლივ ახალი გასართობი სათევზაო ადგილების შექმნა და ამ რეზერვუარების ავსება ადგილობრივი სახეობის თევზებით და (c) შერეული ჯიშების ტყის მცენარეების დარგვა პროექტის განვითარებისას დაკარგული ჰაბიტატის კომპენსირებისათვის.

რაც შეეხება მდინარის ნაკადს ESRS-ი აღწერს, რომ „ავტორიტეტული კვლევების“ თანახმად, საშუალოდ წყლის წლიური მინიმუმ 10 პროცენტი ნაკადი აუცილებელი იყო მოკლევადიან პერსპექტივაში ჰაბიტატის შესანარჩუნებლად უმეტესი წყლის ბიოტისათვის.⁵¹ ეს ეფუძნებოდა საქართველოში და სხვა ქვეყნებში ისტორიულ გამოყენებას, ბუნებრივი ნაკადების წელიწადში საშუალოდ 10 პროცენტის გათვლით, ხშირ შემთხვევაში როგორც ბუნებრივი ნაკადის შეფასების ორ-საფეხურიანი სისტემის შემადგენელი ნაწილი.

ESRS-ი აღწერს ბუნებრივი ნაკადის შეფასების მეორე საფეხურს, რომლის მიზანია მდინარის მიღწევადობის მოწყვლადობის გამოვლენა და მიღწევადობისთვის კონკრეტული ნაკადის საჭიროების გადაწყვეტა და შემსუბუქება, მიმდინარე მონაცემების შეგროვების საფუძველზე, ზემოქმედების შეფასება და შეგუების მართვა. შეგუების მართვის მიდგომის შემდეგ, მხედველობაში იქნება მიღებული შემამსუბუქებელი ზომები, ჰაბიტატის გაუმჯობესების, ნაკადის რეჟიმის შეცვლის და კომპენსაციის ჩათვლით, მიმდინარე მონაცემების შეგროვების და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის მიხედვით.

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებას, ESAP-ი შეიცავდა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის (BAP) დანერგვას, შემდეგის ჩათვლით:

- მონიტორინგის დეტალური გრაფიკის განვითარება და განხორციელება, ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებისა და ანგარიშგებისთვის, მშენებლობამდე განხორციელებული დამატებითი დათვალიერების ცნობა;
- ყველა ჯებირის ზედა და ქვედა ნაკადების მონიტორინგი იმისათვის, რომ შემოწმდეს მინიმალურად საჭირო ნაკადის უზრუნველყოფა მთელი ოპერაციის მანძილზე; და
- ეკოლოგიური შეფასების განხორციელება, რომ შემოწმდეს ნაკადის ადეკვატურობა ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, ან მინიმალური ნაკადის ხელახალი

⁴⁹ Clean Energy Group და Mott MacDonald. ESIA ნაწილი IV, აპრილი 2014. გვ.43, <https://bit.ly/3dkCZnn>

⁵⁰ IFC-ი გარემოს დაცვისა და სოციალური განხილვის მოკლე შინაარსი, აჭარისწყალი ჯორჯია შპს, პროექტის #33435, <https://bit.ly/3lxAWky>

⁵¹ *Ibid*

განსაზღვრა მშენებლობისა და ოპერაციის მთლიანი ციკლის განმავლობაში, როგორც ეს მითითებულია BAP-ში.

ზედამხედველობა

2014 წლის აგვისტოში, IESC-ი იტყობინებოდა, რომ ადგილობრივი NGO-ები ატარებდნენ კვლევებს, რასაც ითხოვდა BAP-ი და EIA. IESC-ში აღნიშნულია, რომ AGL-მა დანიშნა უფროსი გარემოს დაცვის თანამშრომელი ამ კვლევების მეთოდოლოგიური ხარისხის უზრუნველსაყოფად. ეს კვლევები აუცილებელი იყო იმის შესაფასებლად, ახდენდა თუ არა ზემოქმედებას პროექტის მშენებლობა ბიომრავალფეროვნებაზე და რომ შეეფასებინა საჭირო ბუნებრივი ნაკადები ბიომრავალფეროვნების დასაცავად.

2015 წლის მაისში, IESC-მ აღნიშნა, რომ NGO-ების მიერ ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევის ანგარიში შეიცავდა ნაკლოვანებებს. IESC-მა რეკომენდაცია მისცა მის მომხმარებელს, რომ დაექირავებინა საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების კონსულტანტი პროცესის მონიტორინგის მიზნით. კონსულტანტის მოვალეობაში შედიოდა: (a) კვლევების განხილვა და BAP-ის საჭიროებისამებრ განხილვა, (b) BAP-ის ყველა ქმედებების განხორციელების უზრუნველყოფა და (c) BAP-ის დასკვნების ასოცირება პროექტის დიზაინთან, ადეკვატური გადაწყვეტილებების მონახვის უზრუნველსაყოფად. IESC-ი აგრეთვე იტყობინებოდა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დააჯარიმა მისი მომხმარებელი გარემოს დაცვის ნებართვის შესაბამისობის დარღვევის გამო. კონკრეტულად ეს იყო ბუნებრივი ნაკადის გაზომვების და საჭირო ბიომრავალფეროვნების და საგანგებო მდგომარეობის გეგმების წარდგენის დაყოვნების შესახებ. 2015 წლის ოქტომბერში, IESC-ი იტყობინებოდა, რომ მომხმარებელმა დაამოწმა, რომ საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების კონსულტანტი გაუწევდა ზედამხედველობას BAP-ს.

2016 წლის მარტში, IESC-ი იტყობინებოდა, რომ წინა ზედამხედველობის ანგარიშიდან მისმა მომხმარებელმა მიიღო ზომები რეკომენდაციების საპასუხოდ BAP-ის თაობაზე. თუმცა ბევრი რეკომენდაცია ჯერ კიდევ შეუსრულებელი იყო. IESC-მა ხელახლა აღნიშნა, რომ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის დასკვნები არასაკმარისი იყო იმის განსაზღვრავად, მიიღწეოდა თუ არა ბიომრავალფეროვნების მისაღები ზემოქმედება შეთავაზებული მინიმალური ნაკადებით. IESC-მა აგრეთვე აღნიშნა, რომ კვლევები არ ტარდებოდა იმ წელს არაადეკვატური ნაკადის პირობების გამო. თუმცა, მომხმარებელს არ შეუთავაზებია ალტერნატიული გეგმა ამ მონაცემების ხარვეზის გადასაწყვეტად. IESC-მ მომხმარებელს რეკომენდაცია მისცა დაემოწმებინა, რომ: (a) ადგილობრივი კონსულტანტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის კვლევის ანგარიშები დამაკმაყოფილებელი იყო; (b) კვლევის გამო არ არსებობდა დამატებითი ზომების მიღების აუცილებლობა (c) განხილული იყო დიზაინის ცვლილებები. IESC -მა აგრეთვე რეკომენდაცია მისცა მომხმარებელს, რომ ამ უკანასკნელს მიეწოდებინა დროის ფარგლები მონიტორინგის მონაცემების აღების მცდელობისთვის დაბალი ნაკადის პირობებში 2016 წელს. მარტის თვეში კრედიტორმა გაუგზავნა AGL-ს წერილი და მოსთხოვა რომ ემოქმედა 2015 წლიდან IESC-ის მიერ უზრუნველყოფილ E&S-ის შესაბამისობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე, რომელიც ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა. ბიომრავალფეროვნების საკითხების მსგავსად, კრედიტორებმა მოსთხოვეს მომხმარებელს დაედასტურებინა ადეკვატური იქნებოდა თუ არა შეთავაზებული მინიმალური ნაკადი ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად

პროექტის სამუშაოების პერიოდში, რომელიც ერთი წლის ვადაში უნდა დაწყებულიყო. მომხმარებელმა წარადგინა მაკორექტირებელი მოქმედების გეგმა ამის და E&S-ის სხვა შესაბამისობის გადასაწყვეტად.

2017 წლის მარტში, IESC-ი და კრედიტორები ეწვივნენ პროექტს. IESC-მ განაცხადა, რომ მომხმარებელმა მიაღწია პროგრესს სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავებაში. თუმცა, ზოგიერთი მოქმედებები ჯერ კიდევ შეუსრულებელი იყო. IESC-მა რეკომენდაცია მისცა მომხმარებელს დაესრულებინა მისი ანალიზი თუ როგორ უნდა მომხდარიყო პროექტის ოპერაციის ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის მართვა, ასევე, რომ პროექტის მშენებლობის პერიოდში დაესრულებინა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის კონსოლიდაცია. იმავე წლის ბოლოს კრედიტორები და მომხმარებლები შეთანხმდნენ სამუშაო ფაზაზე ESAP (OESAP). OESAP-ი მოიცავდა, მაგრამ არ შემოიფარგლებოდა შემდეგით: (a) მონიტორინგის დეტალური გრაფიკის განვითარება და განხორციელება, ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასებისა და ანგარიშებისთვის და დამატებითი დაკვირვების ჩატარება; (b) ბუნებრივი ნაკადის მონაცემების მონიტორინგი და გამჟღავნება იმის დემონსტრირებისა და დამოწმებისათვის, რომ საჭირო მინიმუმი ნაკადი დაკმაყოფილებულ იქნა; და (c) ეკოლოგიური შეფასებების ჩატარება იმის გადასამოწმებლად, რომ ნაკადი ადეკვატური იყო ბიომრავალფეროვნების დაუკარგავად ან ოპერაციის დაწყებამდე მინიმუმი ნაკადის ხელახალი განსაზღვრა.

2018 წელს IESC-ი იტყობინებოდა, რომ მისმა მომხმარებელმა უჩვენა დამაკმაყოფილებელი პროგრესი BAP-ის დანერგვაში. თუმცა, IESC-მა შეიტყო, რომ მისი მომხმარებელი სათანადო სტანდარტებს მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებდა. საჩივარში აღძრული საკითხების შესაბამისად, IESC-ი იტყობინებოდა, რომ ახალმა საერთაშორისო კონსულტანტმა აიღო ზედამხედველობა BAP-ის განხორციელებაზე — და როგორც ამის შესახებ აღნიშნული იყო ადრინდელი მონიტორინგის ანგარიშებში-ამან აღძრა წუხილი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ბიომრავალფეროვნების მონაცემების მონიტორინგი და ანალიზი. IESC-მა მომხმარებელს რეკომენდაცია მისცა, რომ უზრუნველყო 2018 წლის ბიომრავალფეროვნების მონაცემების იმგვარი გაუმჯობესება, რაც შესაძლებლობას მისცემდა საერთაშორისო კონსულტანტს განხორციელებინა მონაცემების მნიშვნელოვანი შეფასების ჩატარება და ინტერპრეტაცია. ეს აუცილებელი იყო მონიტორინგს დაქვემდებარებული სახეობების ტენდენციების გასაგებად და პროექტის მიდამოებში ბიომრავალფეროვნებაზე ამჟამად მიმდინარე ზემოქმედების გათვითცნობიერების საშუალებას იძლეოდა. IESC-მა მომხმარებელს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშების ხარისხის გასაუმჯობესებელი გეგმის წარდგენა მოსთხოვა.

2019 წლის ივნისში, IESC-ი ეწვია პროექტს და შენიშნა, რომ მომხმარებელს შემუშავებული ჰქონდა მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა (CAP) ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშების და სამონიტორინგო მონაცემების სტატისტიკური ანალიზის გასაუმჯობესებლად, რომელიც ინერგებოდა შეთანხმების შესაბამისად. CAP-ი მიზნად ისახავდა შემდეგს: (a) ბიომრავალფეროვნების სამონიტორინგო ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესებას; (b) შესაძლებლობისდაგვარად, ბიომრავალფეროვნების ზემოქმედებაზე შეგუებადი მართვის მიდგომის დანერგვას; და (c) კრედიტორებისათვის წლიური ანგარიშის

მოსამზადებლად ბიომრავალფეროვნების დამოუკიდებელ სპეციალისტთან კონტრაქტის გაფორმებას.⁵² IESC-ი აგრეთვე იტყობინებოდა, რომ განხორციელებული პროგრესის მიუხედავად, პროექტი შესაბამისობაში არ იყო გარემოს დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტებთან. ეს იმიტომ, რომ პროექტის შედეგად გვირაბიდან გამოიყოფოდა მაღალი pH-დონის მქონე ტუტის წყლები, რაც პროექტის განხორციელების ობიექტზე ნაკადულშია აღემატებოდა ეროვნულ და საერთაშორისო ზღვარს. IESC-მა მომხმარებელს დაავალა დაემოწმებინა ზემოქმედება და გამოველინა მაკორექტირებელი და შემამსუბუქებელი ზომები მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად. IESC-მა აღნიშნა, რომ ამას სავარაუდოდ შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა ბიომრავალფეროვნებაზე და ამიტომ მომხმარებელი ნაწილობრივ აკმაყოფილებდა შესაბამისობას ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გარემოს მართვის ნაწილში. IESC-მა უზრუნველყო რეკომენდაციები ამ საკითხების მოსაგვარებლად.

2020 წლის თებერვალში, IESC-მა განაცხადა, რომ AGL-მა შეაფასა გვირაბიდან გამოყოფილი ტუტე წყლის ნაკადულში ჩადვრა და ვერ იპოვა მიღებული შედეგიდან გამომდინარე რაიმე ზემოქმედება. IESC-მა დამატებით აღნიშნა, რომ მისი ბოლო საზედამხედველო ვიზიტის შემდეგ, მდინარის ახლოს დაუცველი და გახრწნილი ნადავლის დალექვის რისკები ზოგიერთ ადგილებზე გადაუჭრელი რჩებოდა.

2020 წლის სექტემბერში ვირტუალური მისიის ჩატარებისას, IESC-ი იტყობინებოდა, რომ პროექტის დაწყებიდან 2018 წლის ბოლომდე შეგროვებული და დამოუკიდებელი სპეციალისტის მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების ტენდენციის ანგარიშში გაანალიზებულია ჩიტების, ადგილობრივი ხეების, თევზის, ჰერპეტოფაუნის და უხერხემლოების მონიტორინგის მონაცემები. IESC-მა აღნიშნა მშენებლობის პერიოდში მონიტორინგის ზოგიერთ ადგილებში მდინარე ჩირუხისწყალში რამდენიმე სახეობის თევზის შემცირება და თევზების სიუხვის დამატებითი ცვლილებები. თუმცა, IESC-მ აღნიშნა, რომ ნაადრევი იყო დასკვნების გამოტანა იმის შესახებ, რომ ეს ნაკლებობა პროექტის მიზეზით წარმოიშვა. IESC-მა დაასკვნა, რომ ბიომრავალფეროვნების საოპერაციო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული შემამსუბუქებელი ზომები მისაღები და PS6-თან შესაბამისი იყო, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო გრძელვადიან პერიოდში დამატებითი მონიტორინგი ზოგიერთი სახეობების სიუხვეში ცვლილებების შესაფასებლად. იმასთან ერთად, რომ IESC-მა დაადგინა მომხმარებლის მიერ მოქმედ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა, მან აგრეთვე აღნიშნა პროცესში მყოფი მთელი რიგი ქმედებების შესახებ. მაგალითად, IESC-მა მომხმარებლისგან მოითხოვა, რომ ამ უკანასკნელს ეჩვენებინა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მაკორექტირებელ სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობის სტატუსი. მან აგრეთვე მოითხოვა, რომ მომხმარებელს დაესრულებინა საოპერაციო BAP ვალდებულებები (სტატისტიკური ტენდენციის ანალიზის მოკლე შინაარსის ჩათვლით და დაენერგა ამ ანალიზში გადმოცემული შემამსუბუქებელი ზომები) და რომ კრედიტორებისთვის სრული ოპერაციის განმავლობაში,

⁵² გამოსასწორებელი მოქმედების გეგმა შედგება ორი ფაზისაგან: საერთაშორისო კონსულტანტი უზრუნველყოფს იმ არასამთავრობო დაწესებულებების სწავლებას, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მონაცემების შეგროვებასა და ანგარიშგებაში და კონსულტანტი ამზადებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სტატისტიკურ ანალიზს.

მომხმარებელს წარედგინა გეგმა ინტერნეტ-ნაკადების გამჟღავნების რეალურ დროში დასაწერად.

დასკვნა

ESIA აცხადებს, რომ მდინარე აჭარისწყლის სისტემა ბიომრავალფეროვნების დიდ ინტერესს წარმოადგენს, თავისი ბუნებრივი ტყის ჰაბიტატის და მცენარეების, წყლის და ხმელეთის სახეობების მრავალფეროვნებით. ESAP-ში გათვალისწინებული შემამსუბუქებელი ზომები, BAP-ის განვითარებისა და დანერგვის ჩათვლით, რომელიც უნდა განვითარებულიყო მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად. პროექტში მიღებული იყო 10 პროცენტი საშუალო წლიური ნაკადი, როგორც მინიმალური ბუნებრივი ნაკადი საქართველოში ისტორიულ მოხმარებაზე დაყრდნობით, დამატებითი შემამსუბუქებელი ზომების კორექტირების და განვითარების ჩარჩოს გათვალისწინებით, რომელიც ეფუძნებოდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამის შედეგებს.

2015 წლიდან დაწყებული, IESC-მ გამოკვეთა პრობლემები იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის შედეგების ანგარიშგება. ეს მნიშვნელოვანი იყო სახეობების ცვლილებების გასაგებად და პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაფასებლად. მხოლოდ 2019 წელს წარადგინა მოხმარებელმა მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმა ამ საკითხის გადასაჭრელად. ბოლო ვირტუალური ზედამხედველობის ვიზიტისას (2020 წლის სექტემბერი), IESC-მა აღნიშნა, რომ მაკორექტირებელი მოქმედების გეგმის შესაბამისობის მტკიცებულება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი იყო. ანგარიშგებაში აგრეთვე ასახული იყო მშენებლობის პერიოდში მდინარე ჩირუხისწყალში სახეობების რაოდენობის კლება და ცვლილებები თევზის სიუხვეში. თუმცა IESC-მა დაადგინა, რომ ნაადრევი იყო ამ კლების პროექტთან ასოცირება, IESC-ი აგრეთვე აცხადებს, რომ ამგვარი ტენდენციის ანალიზისთვის საჭირო იყო დამატებითი მონიტორინგი და გაუმჯობესებების შეტანა, რომ სათანადოდ გადაწყვეტილიყო ამ საკითხის მიზეზი. მხედველობაში თუ მივიღებთ ზემოთ აღნიშნულს, ნათელი არაა, რომ IFC-ის მიერ პროექტის განხილვა ან ზედამხედველობა საკმარისი იყო მომჩივანთა მიერ აღძრული პრობლემის, ანუ პროექტის ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის თაობაზე შესრულების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, თუ მხედველობაში მივიღებთ პროექტის ზეგავლენას კრიტიკულ ჰაბიტატზე, როგორც ეს განსაზღვრულია PS6-ში, CAO-ს კითხვები უჩნდება IFC-ის მიერ მოთხოვნების განხილვასა და ზედამხედველობაზე იმისათვის, რომ: (a) შეეფასებინა პროექტის რისკები და ზემოქმედება კარგი საერთაშორისო პრაქტიკის დაცვის შესაბამისად (PS1, პარაგრაფი 5); (b) დაეკმაყოფილებინა კრიტიკული ჰაბიტატის ადგილებში პროექტების შემუშავების მკაცრი მოთხოვნები (PS6, პარაგრაფი 16); და (c) უზრუნველყო პროექტის მონიტორინგი პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალური რისკების და ზემოქმედების შესაბამისად (PS1, პარაგრაფები 22 და PS6, პარაგრაფი 17).

IV. CAO-ს გადაწყვეტილება

CAO-ს შესაბამისობის შეფასების მიზანია უზრუნველყოს შესაბამისობის გამოძიებების დაწყება მხოლოდ იმ პროექტებთან მიმართებაში, რომლებიც მნიშვნელოვან პრობლემებს

აღძრავენ E&S-ის შედეგებთან ან/და IFC-ის სისტემური მნიშვნელობის მქონე საკითხებთან დაკავშირებით. როდესაც გადაწყვეტილებას იღებს დაიწყოს თუ არა გამოძიება, CAO-მ უნდა აწონ-დაწონოს საჩივარში აღძრული ფაქტორები E&S-ის პრობლემების მასშტაბების ჩათვლით, IFC-ის E&S-ის წინასწარი განხილვის შესრულების შედეგები ამ საკითხებთან დაკავშირებით, IFC-ის მოთხოვნების ადეკვატურობასთან დაკავშირებული კითხვების არსებობა და უფრო ზოგადი შეფასება იმისა, წარმოადგენს თუ არა შესაბამისობის გამოძიება სათანადო პასუხს ამ სიტუაციებში.

ამ შემთხვევაში, მომჩივნები აღძრავენ წუხილს პროექტის სერიოზულ ზემოქმედებაზე გარემოსა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით როგორც ამჟამად, ასევე მომავალში. მომჩივანთა წუხილი იმის თაობაზე, რომ პროექტმა შესაძლებელია სავარაუდოდ გამოიწვიოს მეწყერები და ქვათაცვენა, აღძრავს მნიშვნელოვანი რისკების საფუძველს მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ რეგიონის ისტორიულ გამოცდილებას მეწყერებთან დაკავშირებით. მომჩივანთა ბრალდებები იმის შესახებ, რომ პროექტმა ზემოქმედება იქონია გრუნტის წყლების წვდომაზე, წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას თუ გავითვალისწინებთ მათ დამოკიდებულებას წყაროს წყლებზე საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო მოხმარებისათვის. მომჩივანთა ბრალდებები იმის თაობაზე, რომ პროექტმა ზეგავლენა იქონია თევზისა და ხეების სახეობებზე, რაც კრიტიკულ ჰაბიტატად არის მიჩნეული, აგრეთვე წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას თუ გავითვალისწინებთ პროექტის ადგილ-მდებარეობას და კრიტიკული ჰაბიტატის დაცვის მნიშვნელობას.

ამ შეფასების ანგარიშში ჩამოთვლილია IFC-ის მიდგომა გარემოს დაცვასა და სოციალურ განხილვაზე და პროექტის ზემოქმედებაზე. CAO აღიარებს IFC-ის მიერ შეფასებისას და ზედამხედველობის პერიოდში მიღებულ ზომებს, პროექტის მიერ მის E&S-სთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამაში შედიოდა IFC-ის თანამშრომლების მიერ სხვა კრედიტორებთან თანამშრომლობა, და მომხმარებლის მიერ ESAP-სა და კრედიტორების სხვა მოთხოვნების განხილვასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ მესამე მხრის კონსულტანტებთან მუშაობა.

საბოლოოდ, არსებული ინფორმაციის წინასწარი განხილვის საფუძველზე, CAO ასკვნის, რომ:

- მეწყერებთან და ქვათა ცვენასთან დაკავშირებით მომჩივანთა მიერ აღძრული საკითხები განხილულ იქნა IFC-ის ინვესტიციამდე და ზედამხედველობის პერიოდში. მომჩივანთა მიერ CAO-ს შესაბამისობის გუნდისათვის წარდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომ ადგილი არ ჰქონია მათ უძრავ ქონებაზე რაიმე მნიშვნელოვანი ზიანის წარმოშობის ფაქტს პროექტის მშენებლობისას და რომ მშენებლობის ფაზა უკვე დასრულებულია, CAO-მ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ეს საკითხი არ საჭიროებს გამოძიებას. რაც შეეხება მომჩივანთა მიერ გრუნტის წყლებთან დაკავშირებით აღძრულ პრობლემებს, საჩივრის წინასწარი ანალიზი ბადებს კითხვებს IFC-ის E&S-ის მიერ პროექტის განხილვისა და ზედამხედველობის ადეკვატურობის თაობაზე. ეს საკითხი სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ხასიათისაა თუ გავითვალისწინებთ მომჩივანთა დამოკიდებულებას გრუნტის წყლებზე საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიზნით.

- წინასწარი ანალიზი აგრეთვე აღძრავს კითხვებს IFC-ის მიერ პროგრამის განხილვისა და ზედამხედველობის ადეკვატურობის შესახებ, მათ ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ეს საკითხი სავარაუდოდ მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ მდინარისა და მის გარშემო არსებული მიდამოების დანიშნულებას, როგორც კრიტიკულ ჰაბიტატს, რომელსაც ბიომრავალფეროვნებისათვის დიდი ღირებულება გააჩნია.

თუ მხედველობაში მივიღებთ ზემოთ მოცემულ ყველა ფაქტორს, CAO ასკვნის, რომ შესაბამისობის გამოძიება ამ საკითხებთან დაკავშირებით გამართლებულია.

მითითებები შესაბამისობის გამოძიებისათვის CAO-ს პოლისის თანახმად, თან ერთვის ამ დოკუმენტს დანართი 1-ის სახით.

დანართი: მითითებები



დეკემბერი 10, 2021წ.
შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის (CAO) ოფისი

მითითებები IFC-ის და MIGA-ს შესაბამისობის გამოძიებისათვის

IFC-ის ინვესტიცია აჭარისწყლის ჰიდრო ელექტრო სადგურის კაშხლის პროექტში
(IFC-ის პროექტები # 33435, 37781, 601449, 30428; MIGA-ს პროექტი #12315)
საქართველო

CAO-ს შესახებ

შესაბამისობის მრჩეველი ომბუდსმენის (CAO) ოფისი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და მრავალმხრივი ინვესტიციების დაზღვევის სააგენტოს (MIGA) დამოუკიდებელი დახმარების წყაროს და ანგარიშვალდებულების მექანიზმს. CAO პირდაპირ ანგარიშვალდებულია IFC-ისა და MIGA-ს საბჭოს (“საბჭო”) წინაშე და სრულიად დამოუკიდებელია IFC/MIGA-ს მმართველობისაგან.

CAO თავის საქმიანობას ახორციელებს IFC/MIGA-ს დამოუკიდებელი ანგარიშვალდებულების მექანიზმის (CAO) პოლისის (“[CAO პოლისი](#)”) თანახმად.

CAO-ს მანდატი მდგომარეობს შემდეგში:

- სამართლიანი, ობიექტური და კონსტრუქციული დახმარების გაწევა იმ ხალხის საჩივრების გადაწყვეტაში, რომლებიც შესაძლოა დაზარალდნენ IFC/MIGA-ის პროექტებით ან ქვე-პროექტებით
- იმ პროექტების გარემოს დაცვისა და სოციალური შედეგების გაძლიერება, რომლებშიც ეს დაწესებულებები მონაწილეობენ
- საჯარო ანგარიშვალდებულების და ცოდნის განმტკიცება IFC/MIGA-ის მიერ გარემოს დაცვისა და სოციალური შესრულების გაძლიერების მიზნით და ხალხსა და გარემოზე ზიანის მიყენების შემცირება

CAO-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ: www.cao-ombudsman.org.

ეს დოკუმენტი შეიცავს მითითებებს CAO-ს მიერ AGL-01-ის გამოძიებისათვის, CAO პოლისის 96-ე და 118-ე პარაგრაფების შესაბამისად.

CAO-ის შესაბამისობის ფუნქციის შესახებ

“CAO-ს შესაბამისობის ფუნქციის მიზანია IFC/MIGA-ის E&S-ის [გარემოს დაცვისა და სოციალური] პოლისების შესაბამისობის განხილვის წარმოება, მათთან დაკავშირებული ზიანის შეფასება და საჭიროებისამებრ გამოსასწორებელი ქმედებების რეკომენდაციის მიცემა.”⁵³ შესაბამისობის ფუნქცია არ ახდენს E&S-ის პოლისების ადეკვატურობისა და შესაფერისობის შეფასებას და არც დასკვნებს არ აკეთებს პროექტის, ქვე-პროექტის, მომხმარებლის, ან ქვე-მომხმარებლის IFC-ის შესრულების სტანდარტებთან შესაბამისობაზე. თუმცა, თავისი როლის შესრულების ფარგლებში, CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია ახდენს IFC/MIGA-ის მიერ მისი E&S-ის მოთხოვნების განხილვისა და ზედამხედველობის შეფასებას პროექტის ან ქვე-პროექტის დონეზე და მხედველობაში იღებს გარემოს დაცვასა და სოციალურ შესრულებას პროექტის ან ქვე-პროექტის დონეზე.⁵⁴

CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია სამი ფაზისაგან შედგება:

1. **შესაბამისობის შეფასება**, რომელიც წარმოადგენს წინასწარ განხილვას იმის დასადგენად, საჭიროებს თუ არა საჩივარი ან შიდა მოთხოვნა შესაბამისობის გამოძიებას.
2. **შესაბამისობის გამოძიება**, იქ, სადაც ეს გამართლებულია და წარმოადგენს სისტემურ და ობიექტურ განხილვას იმის დასადგენად, შესაბამისობაშია თუ არა IFC/MIGA თავის E&S-ის პოლისებთან და წარმოიქმნა თუ არა რაიმე ზიანი IFC/MIGA-ს მიერ შეუსაბამობის მიზეზით. მას შემდეგ, რაც CAO დაასრულებს შესაბამისობის გამოძიებას, რასაც შედეგად მოჰყვება შეუსაბამობის და მასთან დაკავშირებული ზიანის შესახებ დასკვნების გაკეთება, CAO რეკომენდაციას აძლევს IFC/MIGA-ს, რომ მართვის მოქმედების გეგმის მომზადებისას (MAP), მათ გაითვალისწინონ ეს რეკომენდაციები. IFC/MIGA MAP-ს გადასცემს საბჭოს მათ მიერ დასამტკიცებლად.
3. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დამტკიცებული MAP-ი, CAO ჩაატარებს **შესაბამისობის მონიტორინგის** პროცესს და წარადგენს ანგარიშს MAP-ში წარმოდგენილი ნებისმერი მაკორექტირებელი ზომების ეფექტური დანერგვის შესახებ.

ინვესტიცია

შუახვევის პროექტი არის AGL-ის მიერ შესრულებული 184 MW სიმპლავრის ჰიდრო ელექტრო სადგურის სქემა, რომელიც განლაგებულია აჭარისწყლის რეგიონში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეში. იგი შედგება ორი ჯებირის, რეზერვუარის, კაშხლის, მიწისქვეშა გვირაბების, ახალი გზებისა და ხიდებისაგან. პროექტის მთლიანი ღირებულება შეფასებული

⁵³ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 76.

⁵⁴ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 77.

იყო \$427 მილიონ აშშ დოლარად. პროექტის მშენებლობა დაიწყო 2014 წლის ივნისში და პროექტი მუშაობას შეუდგა 2020 წლის მარტში.

ინვესტიციები შეგროვებულ იქნა IFC-ის, EBRD-ის და ADB-ის მთავარი სესხებით. IFC-ის ინვესტიცია შედგებოდა A სესხისაგან, \$71 მილიონ აშშ დოლარამდე ოდენობით და მისი კაპიტალი შეადგენდა \$34 მილიონ აშშ დოლარამდე ოდენობას. IFC-ის აგრეთვე ჰქონდა მრჩეველთა მომსახურების პროექტი AGL-ის შემცირების სტრატეგიის რჩევის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, MIGA-მ უზრუნველყო \$63 მილიონი დოლარის დაზღვევა Tata Power International Pte. Ltd-თვის, რათა დაეფარა მის მიერ პროექტში ჩადებული კაპიტალ-დაზანდება. 2016 წლის დეკემბერში, IFC-მ დაასრულა მისი, როგორც მრჩეველის მომსახურება AGL-თან და 2020 წლის აპრილში, IFC-მ გაყიდა თავისი AGL-ის წილი, რითაც იგი გავიდა კაპიტალ დაზანდებიდან. IFC-ის A სესხისა და MIGA-ს დაზღვევის პროექტები ჯერ კიდევ მოქმედია.

საჩივარი

2018 წლის თებერვალში, CAO-მ მიიღო საჩივარი საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების 22 ოჯახიდან, რომლებიც ცხოვრობდნენ პროექტის ერთ-ერთი გვირაბიდან 500-მდე მეტრის დაშორებით. საჩივარში წაყენებულია ბრალდება პროექტის მშენებლობისა და განხორციელების შედეგად, სოფელ მახალაკიძეების მოზინადრეებზე და ადგილობრივ გარემოზე რამდენიმე ამჟამად არსებული და სამომავლოდ სავარაუდო უარყოფითი ზემოქმედების შესახებ. საჩივარი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მეწყერები და ქვათა ცვენები, გრუნტის წყლების ნაკადები და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება.

გამოძიების მითითებები

როდესაც შეფასების პროცესის შედეგად მიიღება გამოძიების დაწყების გადაწყვეტილება, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა, CAO-ს შეფასების ანგარიში შეიცავს მითითებებს შესაბამისობის გამოძიებაზე, სადაც გამოკვეთილია შემდეგი:

- a) გამოძიების მიზანი და ფარგლები
- b) გამოძიების ფარგლების ნებისმიერი შეზღუდვები, რაც შეიძლება შეესაბამებოდეს, სხვა საკითხებთან ერთად, შეფასების სტადიაზე დახურული საკითხების, ერთდროული სასამართლო პროცესის არსებობის, ან IFC/MIGA-ს გასვლის გათვალისწინებით
- c) გამოძიების მიდგომა და მეთოდოლოგია და კონკრეტული კონსულტანტების კვალიფიკაციები
- d) გამოძიების დავალებების, დროის ფარგლების და ანგარიშგების მოთხოვნების გრაფიკი. ეს გრაფიკი უნდა მოიცავდეს IFC/MIGA-ს მიერ ინფორმაციის წარდგენის ბოლო ვადებს შესაბამისობის გამოძიების პროცესის ინფორმირების მიზნით.⁵⁵

A. მიზანი, ფარგლები და მეთოდოლოგიური მიდგომა

⁵⁵ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 118.

მიზანი და ფარგლები: როგორც ეს დადგინდა CAO-ს შეფასების ანგარიშში, CAO ჩაატარებს შესაბამისობის გამოძიებას IFC-ის მიერ შუახევის პროექტში ინვესტიციის შესახებ AGL-01-ის საჩივარში აღძრულ ორ საკითხთან დაკავშირებით: გრუნტის წყლების ნაკადებისა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესახებ.⁵⁶

ამ საკითხებთან დაკავშირებით, გამოძიების მიზანია დაადგინოს შემდეგი:

1. შესაბამისობაში იყო თუ არა IFC/MIGA თავის E&S პოლისებთან, შემდეგის ჩათვლით:
 - a. მოხდა თუ არა IFC/MIGA-ის მიერ მატერიალური გადახრა შესაბამისი დირექტივებისა და პროცედურებისაგან
 - b. როგორ განიხილა და გაუწია ზედამხედველობა IFC/MIGA-მა პროექტის შესაბამისობას თავის E&S-ის მოთხოვნებთან მიმართებაში, IFC/MIGA E&S-ის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ჩათვლით.
2. არსებობს თუ არა რაიმე ზიანი ან ამგვარი ზიანის მიყენების შესაძლებლობა, რაც გამოწვეულ იქნა IFC/MIGA-ის მიერ ნებისმიერი შეუსაბამობის გამო.⁵⁷

გამოძიება კონცენტრირებული იქნება IFC/MIGA-ის მიერ AGL-ის მექანიზმსა და ზედამხედველობაზე, გრუნტის წყლების ნაკადებსა და ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის ზემოქმედების შეფასებასთან, პრევენციასთან და შემსუბუქებასთან დაკავშირებით. კონკრეტულად, იგი შეამოწმებს მიიღო თუ არა IFC-მ საჭირო ინფორმაცია პროექტის მიერ IFC-ის 2012 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური მდგრადობის და შესრულების სტანდარტებთან შესაბამისობის სტატუსის შესაფასებლად. იგი აგრეთვე შეამოწმებს დარწმუნა თუ არა IFC-მ საკუთარი თავი მომხმარებლის შესაძლებლობის და ვალდებულების შესახებ, რომ ამ უკანასკნელს დაენერგა შესრულების სტანდარტი (PS) 1 გარემოს დაცვის და სოციალური რისკებისა და ზეგავლენის შეფასებასა და მართვაზე, PS4 საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებას, უშიშროებასა და PS6 ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრადობის მართვაზე, რაც შეესაბამება პროექტის სავარაუდო ზემოქმედებას გრუნტის წყლებზე და ბიომრავალფეროვნებაზე პროექტის კონტექსტიდან და მასშტაბიდან და საუკეთესო საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკიდან (GIIP) გამომდინარე.

CAO-ს შესაბამისობის ფუნქცია არ აკეთებს დასკვნებს პროექტის, ქვე-პროექტის, მომხმარებლის, ან ქვე-მომხმარებლის მიერ შესრულების სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. თუმცა, ზიანის შესახებ დასკვნების გაკეთებისას და იმის შესახებ დაკავშირებულია თუ არა ნებისმიერი ზიანი IFC/MIGA-ის მიერ მისი E&S პოლისების შეუსრულებლობასთან, CAO საჭიროებისამებრ შეაფასებს IFC/MIGA-ის მიერ მისი E&S-ის მოთხოვნების განხილვასა და ზედამხედველობას პროექტის ან ქვე-პროექტის დონეზე და განიხილავს, E&S-ის შესრულებას პროექტის ან ქვე-პროექტის დონეზე.

⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ საჩივარში აგრეთვე აღძრული იყო მეწყერის და ქვათა ცვენის პრობლემები, ეს საკითხი დახურული იყო შესაბამისობის შეფასებაში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხელმძღვანელოთ CAO-ს შესაბამისობის შეფასების ანგარიშით.

⁵⁷ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 112 - 114.

მეთოდოლოგიური მიდგომა: CAO შესაბამისობის გამოძიებას დააფუძნებს ინფორმაციაზე, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ჩატარებული ინტერვიუების, გაკეთებული განცხადებების, ანგარიშების და წერილების საფუძველზე, აგრეთვე CAO-ს მიერ პროექტის უზნებზე განხორციელებულ დაკვირვებებსა და ქმედებებზე და სხვა ინფორმაციის წყაროებზე, რასაც CAO მიიჩნევს შესაბამისად.⁵⁸

შესაბამისობის გამოძიების პროცესი და გამოძიების ანგარიში შეიცავს შემდეგს:

- a. გამოძიების დასკვნებს შესაბამისობის, შეუსაბამობის და სხვა მსგავს ზიანზე.
- b. კონტექსტს, მტკიცებულებას და მსჯელობას, რომელიც განამტკიცებს CAO-ს დასკვნებს ნებისმიერი გამოვლენილი დაუმორჩილებლობის გამომწვევი მიზეზების შესახებ.
- c. მართვის სამოქმედო გეგმის (MAP) მომზადებისას IFC/MIGA-ის მიერ გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს, რაც უკავშირდება პროექტის, ან ქვე-პროექტის დონეზე შეუსაბამობის და მსგავსი ზიანის გამოსწორებას ან/და სიტუაციიდან გამომდინარე, საჭირო ნაბიჯებს მომავალში დაუმორჩილებლობის თავიდან ასაცილებლად. იმ პროექტების შემთხვევაში, რომლებიდანაც IFC/MIGA უკვე გამოსულია, რეკომენდაციები გაითვალისწინებენ IFC/MIGA-ის მიერ ამგვარი გასვლის შედეგებს.⁵⁹

საჭიროა საკმარისი, შესაბამისი მტკიცებულება, რათა გონივრული საფუძველი მიეცეს CAO-ს შესაბამისობის აღმოჩენებსა და დასკვნებს. CAO შეაფასებს არსებობს თუ არა მტკიცებულება იმისა, რომ IFC/MIGA-მ გამოიყენა შესაბამისი E&S მოთხოვნები იმ ინფორმაციის წყაროების გათვალისწინებით, რაც ხელმისაწვდომი იყო გადაწყვეტილების მიღების დროისთვის და არ გააკეთებს დასკვნებს დღევანდელი გადასახედიდან.⁶⁰

გარე ექსპერტები:

ამ შესაბამისობის გამოძიებაში დახმარების გასაწევად, CAO ჩართავს ერთზე მეტ გრუნტის წყლების ნაკადების და მდინარის ბიომრავალფეროვნების გარე ექსპერტს, რომლებსაც ექნებათ შემდეგი კვალიფიკაცია:

გრუნტის წყლის ნაკადის ექსპერტი:

- მნიშვნელოვანი კომპეტენტურობა და გამოცდილება გრუნტის წყლების ნაკადებზე, განსაკუთრებით ჰიდრო ელექტრო სადგურების პროექტების კონტექსტში.
- მნიშვნელოვანი კომპეტენტურობა და გამოცდილება გრუნტის წყლების ნაკადების სავარაუდო ზემოქმედების რისკის შეფასებასა და მართვაში, ჰიდრო ელექტრო სადგურების პროექტების კონტექსტში, რაც შეეხება გვირაბების მუშაობას.

⁵⁸ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 115 და 117.

⁵⁹ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 120.

⁶⁰ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 116 - 117.

- საუკეთესო საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის შესაბამისი IFC სტანდარტების და წყაროების ცოდნა
- საქართველოში მუშაობის გამოცდილება და შესაბამისი ეროვნული კანონის მოთხოვნების ცოდნა ნამდვილი საუნჯე იქნება

ბიომრავალფეროვნების ექსპერტი:

- მნიშვნელოვანი კომპეტენტურობა და გამოცდილება მდინარის ბიომრავალფეროვნების რისკებისა და სავარაუდო ზემოქმედების შეფასებაში, ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის პრევენციული და შემამსუბუქებელი ზომების დაპროექტებასა და შემუშავებაში განსაკუთრებით ჰიდრო ელექტრო სადგურების პროექტების კონტექსტში
- საუკეთესო საერთაშორისო ინდუსტრიული პრაქტიკის შესაბამისი IFC სტანდარტების და წყაროების ცოდნა
- საქართველოში მუშაობის გამოცდილება და შესაბამისი ეროვნული კანონის მოთხოვნების ცოდნა ნამდვილი საუნჯე იქნება

საველე ვიზიტი:

შესაბამისობის გამოძიების ფაზაში დაგეგმილია საველე ვიზიტები შუახევის პროექტის მიდამოებში და სოფელ მახალაკიძეებში, იმისდა მიხედვით, თუ მოგზაურობის რა შეზღუდვები იარსებებს COVID-19-თან დაკავშირებით. ამგვარი ვიზიტისათვის, CAO-ს საქმეზე მომუშავე გუნდი, გარე ექსპერტები და მთარგმნელი მიიღებენ მონაწილეობას.

B. შესაბამისობის გამოძიების გრაფიკი, დროის ფარგლები და ანგარიშგების მოთხოვნები

CAO პოლისის შესაბამისად⁶¹ შესაბამისობის გამოძიების ანგარიშის პროექტი უნდა იქნეს გავრცელებული შეფასების ანგარიშის გამჟღავნებიდან ერთი წლის განმავლობაში. 2022 წლის დეკემბრისთვის, ამ საქმის შესაბამისობის გამოძიების ანგარიშის პროექტი გავრცელდება IFC/MIGA-ის მმართველობასა და IFC/MIGA-ის ყველა შესაბამის განყოფილებებში ფაქტიური განხილვისა და კომენტარებისთვის. მმართველობას შეუძლია გაუზიაროს ანგარიშის პროექტი მომხმარებელს ან ქვე-მომხმარებელს იმ პირობით, რომ დაცული იქნება შესაბამისი ზომები ანგარიშის პროექტის გამჟღავნებამდე მისი კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.⁶²

ანგარიშის პროექტის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, მის გამჟღავნებამდე შესაბამისი ზომების მიღებით, ანგარიშის პროექტი გაეგზავნებათ მომჩივნებს მათ მიერ ფაქტიური განხილვისა და ამავდროულად კომენტარების გაკეთების მიზნით. თუ ამგვარი კონფიდენციალობის ზომები არ იქნება შემუშავებული, მომჩივნები, სულ მცირე მიიღებენ გამოძიების დასკვნების ცხრილის პროექტს ფაქტიური განხილვისა და კომენტარების გაკეთების მიზნით და როგორც ინფორმაციის წყაროს მომავალი კონსულტაციების

⁶¹ CAO პოლისი ნაწ. X, პარაგ 121

⁶² CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ 122.

ინფორმირებისათვის IFC/MIGA-ის ნებისმიერი მართვის მოქმედების გეგმასთან დაკავშირებით (MAP).⁶³

IFC/MIGA-ის ფაქტიური განხილვის და კომენტარის პერიოდი არის 20 სამუშაო დღე. მას შემდეგ, რაც IFC/MIGA-სა და მომჩივნებისაგან მიღებული იქნება კომენტარები კონსულტაციის პროექტზე, CAO დაასრულებს გამოძიების ანგარიშს. საბოლოო ანგარიში მიეწოდება IFC/MIGA-ის მთავარ მმართველებს და გავრცელება საბჭოში საინფორმაციოდ. საბჭოს არ გააჩნია CAO-ს შესაბამისობის გამოძიების ანგარიშის შინაარსზე რედაქტირების უფლება. როგორც კი მოხდება გამოძიების ანგარიშის ოფიციალური წარდგენა IFC/MIGA-ის მმართველი რგოლისათვის და დაურიგდება იგი საბჭოს წევრებს, CAO თავის ვებსაიტზე გააკეთებს საჯარო შეტყობინებას, რომ გამოძიება დასრულებულია.⁶⁴

მას შემდეგ, რაც CAO ოფიციალურად წარუდგენს IFC/MIGA-ს შესაბამისობის გამოძიების ანგარიშს, IFC/MIGA-ს მმართველობას ეძლევა 50 სამუშაო დღე, რომ მართვის ანგარიში გაუგზავნოს საბჭოს განხილვის მიზნით. მართვის ანგარიში უნდა შეიცავდეს MAP-ს საბჭოს მიერ დასამტკიცებლად. MAP-ი შეიცავს დროში შეზღუდულ გამოსასწორებელ ქმედებებს, რომლებსაც სთავაზობს IFC/MIGA-ი იმ მიზნით, რომ გადაჭრას CAO-ს დასკვნები შეუსაბამობაზე და მასთან დაკავშირებულ ზიანზე. IFC/MIGA-მა კონსულტაცია უნდა ჩაატაროს მომჩივნებთან და მომხმარებელთან მის მიერ MAP-ის მომზადების პროცესში და მისი მართვის ანგარიში უნდა აგრეთვე შეიცავდეს გონივრულ პასუხს CAO-ს დასკვნებსა და რეკომენდაციებთან მიმართებაში დაუმორჩილებლობის ან მასთან დაკავშირებულ ზიანთან მიმართებაში, რომლის გადაჭრაც IFC/MIGA-ს არ შეუძლია MAP-ში.⁶⁵

CAO შეთავაზებულ MAP-ზე კომენტარებს გაუგზავნის საბჭოს და მომჩივნებს შეუძლიათ განცხადება გაუგზავნონ CAO-ს მის მიერ შეთავაზებულ MAP-თან და საბჭოში დასარიგებელი კონსულტაციების ადეკვატურობასთან დაკავშირებით.⁶⁶ როგორც კი საბჭო დაამტკიცებს MAP-ს, შესაბამისობის გამოძიების ანგარიში, მართვის ანგარიში და MAP-ი გამოქვეყნდება CAO-ს ვებსაიტზე.⁶⁷

⁶³ CAO პოლისი, ნაწ. X, პარაგ. 124 - 125.

⁶⁴ CAO პოლისი, ნაწ. X, ბარაგ. 123 და 127 - 129.

⁶⁵ CAO პოლისი, ნაწ. X, ბარაგ. 130 - 132 და 134.

⁶⁶ CAO პოლისი, ნაწ. X, ბარაგ. 135.

⁶⁷ CAO პოლისი, ნაწ. X, ბარაგ. 138.